



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბილ ბუქ-  
უბი სიფყავა, ცუდილებით და ჭებობით ბუბ-  
თის გაფანა ყველა უკადრისებზე უსამაგლესია.

# რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

ორშაბათი-სამშაბათი, 22-23 ნოემბერი, 2021 წ. №204 (9323) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

## სააკაშვილი არის პოლიტიკური სსოველი...

ბანმუხტავს თუ არა ქვე-  
ყანაში არსებულ პოლიტიკურ  
პროცესებს პრეზიდენტყოფი-  
ლის მიხეილ სააკაშვილის გო-  
რის პოსპიტალში გადაყვანა  
და რამდენად შეიძლება ეს ხე-  
ლისუფლების მხრიდან დათ-  
მობაზე წასვლად შეფასდეს?  
ფაქტია, ქვეყანაში ბოლო  
დღეებში შექმნილი სიტუაცი-  
იდან გამომდინარე, ორივე  
მხარე მიხვდა, რომ რაღაცა  
უნდა დაეთმოთ, სხვაგვარად  
ქვეყანაში პოლიტიკური კრი-  
ზისი გარდაუვალი იქნებოდა.  
თუმცა, ახლა საინტერესოა,  
მოვლენები როგორ შეიძლე-  
ვა განვითარდეს და სააკაშვი-  
ლის ფაქტორს ოპოზიცია  
კვლავ როგორ გამოიყენებს.  
იუსტიციის მინისტრმა მი-  
ხეილ სააკაშვილის სამხედრო  
ჰოსპიტალში გადაყვანის გა-  
დანწყვეტილება რამდენიმე არ-  
გუმენტიით ახსნა. ყოფილი  
პრეზიდენტის ჯანმრთელო-  
ბის და უსაფრთხოების დაც-  
ვა, ასევე იმ ადამიანებზე  
ზრუნვა, ვინც შიმშილობდა.  
გორის ჰოსპიტალში არსე-  
ბულ მდგომარეობას ადგილ-  
ზე გაეცნო ჯანდაცვის მინის-  
ტრი. ეკატერინე ტიკარაძის  
თქმით, სამხედრო ჰოსპიტალს  
ყველანაირი შესაძლებლობა  
აქვს, პაციენტს საჭირო მომ-  
სახურება შესთავაზოს.  
ენმ-ის თავმჯდომარემ ნიკა  
მელიამ კი სააკაშვილის გა-  
დანწყვეტილების გაგების შემ-

**რამდენიმე  
დღეში  
ახლავდება,  
რომ სუდად  
მკურნალობენ  
ნაშავენ და ა. შ.**



დეგ რესპუბლიკის მოედანზე  
მყოფ მოქალაქეებს სიტყვით  
მიმართა და მოუწოდა, რომ ახ-  
ლა დაშლილიყვნენ, მაგრამ  
ბრძოლას აგრძელებენ იქამდე,  
სანამ ამ ხელისუფლების ჩამონ-  
გრევა არ მოხდება.

პოლიტიკური საკითხების  
ანალიტიკოსი დავით ზურა-  
ბიშვილი მიიჩნევს, რომ სა-  
აკაშვილის გორის სამხედრო  
ჰოსპიტალში გადაყვანა ხე-  
ლისუფლებამ სწორად გა-  
დანწყვიტა, რადგანაც სხვაგვ-  
რად პროცესები კიდევ უფრო  
ჩიხში შევიდოდა. ზურაბიშვი-  
ლი ამბობს, რომ ადრე თუ  
გვიან ხელისუფლებას ამის გა-  
კეთება მოუწევდა, ამიტომაც  
კარგია, რომ ეს გადაწყვეტი-  
ლება დროულად მიიღო. მისი  
აზრით, „ოცნება“ ბოლო  
დროს თვითდაზიანებით არის  
დაკავებული და მიხეილ სა-  
აკაშვილს რეიტინგს უზრდის.  
შეცდომა დაუშვა, როდესაც  
გლდანის ციხეში გადაყვანის  
კადრები გაასაჯაროვა და სა-  
აკაშვილის მიმართ განწყენე-  
ბული და გაბრაზებული ხალ-  
ხიც კი მის დამცველად აქცია.  
„მე მაინც მგონია, რომ ამ  
პროცესებში საბოლოოდ ისევ  
ბიძინა ივანიშვილი ჩაერია. რო-  
გორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს  
მოითხოვა სიმართლე ეთქვათ რა  
ხდებოდა. ნახა, რომ არც ერთი  
მედიკოსი არ ამბობდა სააკაშ-  
ვილზე არ საჭიროებს გადაყვ-  
ნასო და ასევე დასაფლეთის  
ძალიან სწრაფად შეცვლილი  
რიტორიკა. ამიტომაც მიხვდნენ,  
რომ პოლიტიკურად არასწორი  
კურსი ჰქონდათ არჩეული და  
სჯობდა შემხვედრი ნაბიჯი გა-  
დაედგათ.“

იხ. 3 გვ.



## წმინდაო რაინდო, გველი არ დაინდო!

წმინდაო გიორგი, დიდების მხედარო,  
ვეუმერ შენს ხატებას და სული მხნედ არი,  
შემუსრე უწმინდურ დნაკონთა ორგია,  
იხსენი სამკვიდრო შენი – გეორგია,  
დიდების უფალი მართალთა მწედ არი.  
წმინდაო რაინდო, გველი არ დაინდო,  
მოგვმადლე იმედი და უფლის სვე-დარი!

ზვიად გამსახურდია

წმიდა გიორგის განსაკუთრებულ თაყვანისცემას სა-  
ქართველოში ჯერ კიდევ IV საუკუნის დასაწყისში დაელო  
საფუძველი. ძველთაგანვე საქართველოს, წმიდა გი-  
ორგის ქვეყანას, „გეორგიას“ უწოდებდნენ. საქართველოს  
კათალიკოს-პატრიარქის, კირიონის ცნობით წმინდა გიორგი  
კაბადოკიელი მესხი იყო, ხოლო წმინდა არსენ იყალ-  
თოელის მტკიცებით, წმინდა ნინო – საქართველოს  
განმანათლებელი, დიდმოწამის ბიძაშვილი იყო და ქარ-  
თველმა ერმა მისგან შეიტყო წმინდა გიორგის მო-  
წამების შესახებ.

მას შემდეგ საქართველოში განსაკუთრებული პატივი  
მოსავს წმიდა გიორგის სახელს – მისი ხსენების დღე  
ორჯერ აღინიშნება: 23 აპრილს და 10 ნოემბერს (ძვე-  
ლი სტილით). ხალხური გიორგობა სხვადასხვა ადგი-  
ლას სხვადასხვა სახელწოდებით იმართებოდა: ქართ-  
ლში – გერისთობა, ატოცობა; კახეთში – ალავერდობა,  
თეთრი გიორგობა; სამეგრელოში – ილორობა და სხვ.  
საქართველოში არსებობდა წმიდა გიორგის სახე-  
ლობის 333 ტაძარი და სამლოცველო. ლეგენდის მი-  
ხედვით, წმიდა გიორგის სიკვდილის შემდეგ ღმერთ-  
მა მისი სხეული დაანაწილა და ქვეყანაზე მიმოაბნია.  
ყველგან, სადაც ეს ნაწილი მოხვდა, სალოცავები დააწესა.

**წმინდა გიორგის მხნეობა,  
კალა და კაღლი უბეჭდით,  
ქართველებო!**

**ნუზარ ბ. რუხაძე**  
**უკრაინის**  
**უსაფრთხოება**  
**ამერიკის 8**  
**საბრძოლო**  
**მზადყოფნაზეა**  
**დამოკიდებული**

**ბურამ სომარიძე**  
**გეოლოგიისა**  
**და სამთო**  
**მოპოვების**  
**სახელმწიფო**  
**პოლიტიკა 6**  
**სრულყოფას**  
**მოითხოვს!**



**გალაკტიონის საიუბილეო**  
**საღამო დიდი მხატვრის**  
**სახელობის სკვერში 12**

**თავმჯდომარე, თხარაო, ისეა ამ ჩვენი ცოდვით სახე ნაპრეზიდენტალ-ნამხედართმთავრალის საქმე.**  
 ჯერ არაუნის კონტინენტით შემო-პარევა რა იყო, რამდენიმე კოლხი მასპინ-ძლის დატუსაღებით რომ დამთავრდა. თუმცა, ეს მხოლოდ ყურნალი ყოფილა თურმე – როგორც ირკვევა, პრემიერა ანი გველოდა.

დავინწყით იმით, რომ ცნობილი საზღვრებზე გასტროლიორის მიერ საზიემოდ გამოცხადებული დიეტური შიმშილობა რუსთავის ციხესთან რო-გორც პროფესიონალ, ისე მოხალისე ამ-რევთა ექსკურსიებსა და, მოგვიანებით, მასობრივ მიმბაძველობაში გადაიზარ-და, ბელადისადმი თანაგრძობის აქცი-ად რომ გადაიქცა. თქვენ წარმოიდგი-ნეთ, პროტესტანტებს თვით „დემოკრა-ტიის შუქურის“ მგზნებარე მოწოდების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული მი-სი მომხრე ემიგრანტებიც კი შეუერთ-დნენ.

ალარაფერს ვამბობ დედაქალაქის ქუჩებსა და რეგიონებში მუამბოხე მო-მიტინგეთა დანთებულ იმთავითვე ჩასაქ-რობად განწირულ კოცონზე, რომელსაც ჯერ რიგითი ჯარისკაცები შემოეცალ-ნენ ხელიდან, ხოლო შემდეგ – მჩხავა-ნა კატებად ჩამოყალიბებული ლიდერე-ბი ფელდმარშალ ნიკანორ მელიას თა-მადლობით.

სააგარაკე პირობებში მოპატიმრე „ნიკალაევიჩის“ მარტვილობის პირველ სერიასი გამორჩეულად აქტიურობდნენ მისი ვიპ-საკნის მუდმივი სტუმარი ად-ნეოკატები, ექიმები, ადამიანის უფლებათ-და დამცველები (რატომ არ ისმოდა მა-თი ხმა 2003-2012 წლებში?), თანამებ-რძოლი დეპუტატები, ოჯახის წევრები და, კიდევ ვინ მოთვლის, ვინ არა, რომ-ლებიც ისე დასერილობდნენ მსჯავრდე-ბულ-ბრალდებულის გასამხნეველად, როგორც ნინიას ბაღში.

მოვლენები კიდევ უფრო ტრაგიკო-მიკურად განვითარდა უკრაინის მოქა-ლაქის გლდანში გადაყვანის შემდეგ, რომელიც ნაცხროვამ მოტაცებდა, ჩვენ კი შეგვიძლია 50-დღიანი წონაში დასაკ-ლები პროცედურების მეორე სერიად მოვნათლოთ.



## იმ, სადაც იმედი უპრეტსადა

### მოსეზილა „რაქიზები“

**პატარა გორი დიდია, შიბ მიუას ბაღი ჰიდი**  
 ამჯერად ისეთი პერსონები გამო-ვიდნენ ავანსცენაზე, სანყის აქტში გან-საკუთრებული როლი რომ არ შეუსრუ-ლებიათ, ამიტომ, ვფიქრობ, პარტნიო-რებთან შედარებით ისინი მეტ ყუ-რადღებასა და დაფასებას (რასაკვირ-ველია, ვარდ-ყვავილოვანი რეჟიმის ფა-ნების სამრეკლოდან) იმსახურებენ.

**ნიწო ლომჯარია.** წესით, მმართვე-ლი პოლიტიკური ძალა უნდა ნანობდეს, სახალხო დამცველის არჩევნებში დი-მიტრი ლორთქიფანიძის კანდიდატურა რომ დაბლოკა და უპირატესობა დამნა-შავეთა სექტისა და დედაეკლესიის მტერთა პირნავარდნილ დამქაშს მია-ნიჭა. კაბიანი ბოკერიას ჭეშმარიტი სახე აქამდეც შეუნიღბავი გახლდათ, მაგრამ წლებანდელ ცხელ შემოდგომაზე მთე-ლი ბრწყინვალეობით წარმოჩინდა. რომ გვეგონა, იგი სოლისტი იყო, როგორც ალმოწნა, ვცდებოდით. დიახ, დეპრის-პირელ კოლეგასთან დუეტში, ჩვენი პრი-

მაღონა ორ ხმაში კიდევ უფრო საამოდ აჭიკჭიკდა.

**ლიუდილა დენისოვა.** ხომ გსმენი-ათ, „ნაგლი ფრანკ ხუჟე ტანვაო“. ისე, ყველაფერი მასპინძელთა ბრალია, №12 პენიტენციურ დაწესებულებაში ახალ-გამომცხვარი თანამემამულის მოსა-ნახულვლად სტუმარი უპრობლემოდ რომ შეუშვეს, ხოლო მას შემდეგ, რაც მისი მეორე ცდა წარუმატებლად დას-რულდა და შინ გამწარებული დაბრუნ-და, მეორე ფრონტი გაგვიხსნა და მთე-ლი დასავლეთის მოქცევა სცადა. არა-და, მეგობარი ქვეყნის ემისარს გასაგე-ბად აუხსნეს, რომ საქართველოს კონ-სტიტუცია არ ითვალისწინებს მის შემ-ვებას თუნდაც უკრაინის ქვეშევრდომის სამკურნალო დაწესებულებაში.

მომავალში რომ აღარ განმეორდეს მსგავსი ჭკუისსასწავლებელი მაგალი-თი, ვეკითხები ჩვენი შესაბამისი სტრუქ-ტურის მესვეურებს: რატომ დაუშვიტ გამონაკლისი პირველ შემთხვევაში?

**სამილინიო საჭოგალოვა.** პანდე-მიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძო-ლაში ჩაბმულ თეთრხალათიანებს

სისხლიანი ძველი ხელისუფლების რუ-პორთა საინფორმაციო შტურმის მოგე-რება ლამის გახლენად დაუჯდათ, რა-საც ხელი ერთბაშად სამი(!) კონსილი-უმის შექმნამაც შეუწყო, გეგონება, მეტი საფიქრალი არ გვექონდეს.

საბედნიეროდ, კოლექტიური წერი-ლებითა და პეტიციებზე ხელმოწერებით თეთრის შავად წარმოჩენის ეპოქა უკ-ვე წარსულს ჩავაბარეთ, ამიტომ, ვიმე-დოვნებ, ბოროტმოქმედი „თანმედრო-ვე ალმაშენების“ ჯანმრთელობაზე ანი მხოლოდ პროფესიონალები იზრუნებენ.

**პაატა ბურჭულაძე.** დიდი იპოლიტე ხეიჩასგან განსხვავებით, საკუთარ პო-პულარულ ტელეპერსონაჟს რომ ათქ-მევიწებს – არ მინდა ფინიშიო, მსოფ-ლიო ბანი, პირიქით, სწორედ ფინიშზე შეუერთდა მოშიმშილებს და საღვთო საქმეს „პრეზიდენტ სააკაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში“ შეუდგა.

ფონდ „იანანას“ დამფუძნებელი რაჭველი რომ ბრძანდებოდეს, მსოფლი-ოში ყველაზე სწრაფისა არ იყოს, ოპე-რაციულობას შევუქმედი, მაგრამ ის ხომ გურულაია.

სხვათა შორის, გამიგია, რომ ბატონი პაატა დიბეტითაა დაავადებული, ამი-ტომ მისი გადარჩევაზე საარსკო-სთან ერთად მიშკოს ერთგულებადაც უნდა შეფასდეს.

მართლაც, უყვარს და რა ქნას? ქატო იქსა და ფქვილი აქაზე გაზ-რდილებმა, მოდით, ეპილოგიც გამო-ვაცხოთ, მით უმეტეს, საცირკო წარმოდ-გენები, ალბათ, არც მომავალში მოგვაკ-ლდება.

სიმბოლურია, რომ მესამე ლოკაციად პუტინისა და ივანიშვილის ტირანიას-თან „ვაჟაკურად“ შეჯახებულ საბჭო-თა არმიის ყოფილ ეფრეიტორსა და სასუს-ის ჯარების მარადიულ რიგითს სა-ბედისწერო 2008 წელს მისი მინაზე ფორთხვის მოწმე გორის სამხედრო შოსპიტალი გამოუნერეს, სადაც მისნა-ირი იდეური დიქტატორის სტალინის აურა დღესაც იფრქვევა.

**აკი, ქართლის გულში არაფრის გამო არ გადავალ, რადგან იქიდან რუსებისგან გა-ტაცების საფრთხე არსებობსო?**

**ბია პლატონიშვილი**



# სააკაშვილის უტიფრობა გაგაოგნებელია!

**7 ნოემბრის აძვირის ღარ-ბევა, „ტილიფიფიში“ შეჩრა და მთაწმინდის პარკის ჩა-მორთმევა...**  
 ამ სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდება წარდგე-ნილი აქვთ მითმილ სააკაშ-ვილს, დავით მითმილ კეჩიკაშ-ვილს, ზურაბ ადანიშვილს, გიგი უზულაშვას და ვანო მ-რავიშვილს.  
 სააკაშვილის გამოჯანმრ-თელების შემდეგ, უახლოეს დღეებში გამოკითხვენ დავით გარეჯის საქმეზე და ამ საქმე-ზეც სააკაშვილი ბრალდებუ-ლის სტატუსს მიიღებ. ასევეა საზღვრის უკანონო გადაკვე-თის საქმეც.  
 მიუხედავად გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეები-

სა, „ნაციონალური მოძრაობა“ და მასთან ასოცირებული არა-სამთავრობოები თვლიან, რომ ქვეყნის მესამე პრეზიდენტი ცი-ხეში არ უნდა იყოს. თვლიან, რომ სააკაშვილი უნდა გათავისუფლ-დეს პატიმრობიდან და უნდა მი-ეცეს საშუალება, ნორმალურად ჩაერთოს სამოქალაქო და პოლი-ტიკურ პროცესებში.  
 ოპოზიციას სურს, რომ ექს-პრეზიდენტის პატიმრობა უპ-რეცედენტო შემთხვევად გაყი-დოს, მაგრამ ფაქტები სხვა რა-მეს ამბობენ. სააკაშვილის პა-ტიმრობა არ არის პირველი შემთხვევა. მსოფლიოს ქვეყნე-ბის მაგალითს თუ გადავხე-დავთ, საერთო ჯამში, გასამარ-თლებულია 102 ქვეყნის მმართველი, რომელთა შორის არიან

როგორც პრეზიდენტები, ასე-ვე – პრემიერ-მინისტრები.  
 მსჯავრდებული პრეზიდენ-ტების სიაში არიან სააკაშვილის უშუალო მეგობრები: საფრანგე-თის ექს-პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი; მისივე მეგობრები, უკრაინის პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო და პრეზი-დენტი ვიქტორ იანუკოვიჩი; ასე-ვე სააკაშვილის უახლოესი მეგო-ბარი სომხეთის ექს-პრეზიდენტი რობერტ ქოჩარანი; ბრალდებუ-ლი და მსჯავრდებული პრეზი-დენტების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. შესაბამისად, სააკაშ-ვილი ვერ იქნება პირველი ექს-პრეზიდენტი, რომელიც დანაშა-ულისთვის მოიხდის სასჯელს.  
 მიუხედავად უმძიმესი სის-ხლის სამართლის საქმეებისა,

ოპოზიცია იმასაც ამბობს, რომ ქვეყნის მესამე პრეზიდენტი გა-სამართლებულია პიჯაკების შექმნის ფაქტზე. რეალურად, ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, როგორ ირგებდა საკუთარ თავზე ბიუჯეტის თანხებს ექს-პრეზიდენტი: დღეს კიდევ ერ-თხელ გთავაზობთ ჩამონათ-ვალს, როგორია ე.წ. „პიჯაკე-ბის“ საქმის ხარჯები:  
 673 260 ლ, – კოსმეტიკური მომსახურება;  
 191 643 ლ, – ესპანელი მზა-რეულის დაქირავება;  
 75 181 ლ, – სტილისტ ალი კა-მალის მომსახურება;  
 6 342 ლ, – მარიამ საჯიას სასტუმრო;  
 6 40 ლ, – ალანა გაგლოევას სასტუმრო;  
 15 873 ლ – ქრისტიანა და ნა-ტალია უსოვების სასტუმრო და მგზავრობა;  
 38 247 ლ, – ვერა ქობალიას ოჯახის მგზავრობა;  
 5 430 ლ, – სოფო ნიჟარაძის სასტუმრო, საჩუქრები;  
 503 383 ლ – სააკაშვილის-თვის ავიალაინერის დაქირავე-ბა კერძო მიზნებისთვის;  
 45 214 ლ, – სააკაშვილის ლიმუზინი ქ. ვერონაში;  
 35 550 ლ, – სააკაშვილისთ-ვის ველოსიპედის დაქირავება 3 წლის მანძილზე;

25 237 ლ, – ქ. პიზაში (იტა-ლია) იახტის დაქირავება;  
 49 499 ლ, – 7 პიჯაკი და 1 ქაშვირის სპორტული პალტო;  
 7 994 ლ, – ხელით ნაკერი 2 კოსტუმი;  
 53 283 ლ – 10 ცალი მაჯის საათი;  
 15 989 ლ – ლონდონში მხატ-ვრის მიერ მკედით შესრულე-ბული ნახატი;  
 57 000 ლ, – სააკაშვილის შვილების ედუარდ და ნიკოლოზ სააკაშვილების სწავლის საფა-სური;  
 127 858 ლ, – ტალიანდის კუ-რორტ ფხუკეთში მიხეილ სააკაშ-ვილის, ლევან ვარშალომიძის და დავით ბაქრაძის 2 დღის ხარჯი: მგზავრობა, სასტუმრო, კვება.  
 საერთო ჯამში სააკაშვილის ამ სიამოვნებისთვის ქართველ-მა ხალხმა 8 837 461 ლარი გა-დაიხდა.  
 ეს არის ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც კარგად გადმოსცემს ექს-პრე-ზიდენტის სახეს.  
 პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ „ნაციონალური“ კუთვნილი ტელევიზიები ხელოვნურად ცდილობენ შექმნან რა-ღაც დღის წესრიგი, რომელიც აგებულია სააკაშვილისა და მის პატიმრობაზე. პროვოკატორი სააკაშვილი არის 9 500 პატიმრი-დან ერთ-ერთი და სასჯელს ბო-ლომდე მოიხდის.

# პრეზიდენტყოფილი აღაპიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი სისტემური დანაშაულისთვის უნდა გასაგარტლდეს!

...საბაკაშვილის გორის ჰოსპიტალში გადაყვანა იმდენადაა საშიში, რამდენადაც მისი უკან დაბრუნება, იქ, სადაც ჯერ არს რომ იყოს, დიდი ალბათობით, შესაძლოა, უფრო პრობლემური გახდეს. ვინც რა უნდა თქვას, მაგრამ, მრჩება განცდა, რომ საბოლოო ჯამში მან თავისას მიაღწია და ამ ეტაპზე, მართალია, მცირედ, მაგრამ გაიფართოვა ის პლაცდარმი, საიდანაც მართლმსაჯულებისთვის არა მხოლოდ ხელის შეშლას, არამედ აქეთ შეტევასაც ახერხებს. მისი ტაქტიკური მიზანია განიმარჯვოს მართლმსაჯულებაზე, ხოლო საბოლოოდ, სტრატეგიაა - სამართლისა და სამართლიანობის დამსობა, რაც სახელმწიფოებრიობის, მისი იდენტობის ნგრევის ტოლფასია. შეიქმნა სახიფათო ალქმა, რომ - გორის ჰოსპიტალში მისი გადაყვანა სამართლისა და მასშასადამე, სახელმწიფოსი, ტაქტიკური უკან დახევა. ცხადია, ამ უკან დახევას იმდენად არა ფიზიკური, რამდენადაც - საინფორმაციო სივრცის ოკუპირების განზომილება აქვს. ვშიშობ, ამ ეტაპზე - სახელმწიფომ საინფორმაციო ომში მართლმსაჯულების დასაცავად ეს კონკრეტული ბრძოლა წააგო.



მთლიანად ომიც რომ არ წააგოს, სააკაშვილისგან „თავდაცვის“ სტრატეგია სამართლის კონტრუქციული სტრატეგიით უნდა შეიცვალოს. რას ვგულისხმობ? - სააკაშვილი მსჯავრდებულია და ბრალდებულიც, მაგრამ ის ყველაზე არსებითი გარემოება, რომ ამ უბოროტეს დამნაშავეს მის მიერ ჩადენილ არც ერთი სისტემური დანაშაულის გამო ჯერ ბრალიც არა აქვს წარდგენილი, მას უქმნის არა მხოლოდ თავდაცვისათვის, არამედ აქეთ შეტევისთვისაც, პლაცდარმი. მას ეს პლაცდარმი სამართალმა უნდა წაართვას და არა პოლიტიკამ. თუ ეს სამართალმა ვერ შეძლო, ყოველთვის იქნება დეზინფორმაციული სპეკულაციები და სახელმწიფოს მიმართ მტრული პროპაგანდა, რომ მას არა სამართალი დევნის, არამედ „პოლიტიკურად დევნილია“.

უფრო კონკრეტულად: ქართველთა დიდი უმრავლესობისა და მათ შორიც, ცხადია, ჩემიც, მოლოდინით, პროკურატურას, აქვს საკმარისზე მეტი საფუძველი, რომ სააკაშვილს ბრალი წაუყენოს მოქმედი სისტემის სამართლის კოდექსის 408-ე მუხლით: „დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ“; არსებობს უამრავი, ჩვენი აზრით - ეჭვიმიუტანელი ფაქტობრივი მტკიცებულება (მათ შორის - პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული ეს ბოლო ვიდეო-მასალაც), რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს მასობრივი წამება წარმოადგენდა სასჯელალსრულების სისტემურ პოლიტიკას. წამება ხორციელდებოდა განურჩევლად (კარანტინის დაშლა - მტკიცებულება), ხოლო განსაკუთრებული, მხეცური წამების (მათ შორის - სექსუალური ძალადობისაც) პოტენციური მსხვერპლი იყო ასევე ნებისმიერი, ვინც ციხეში იჯდა, ხოლო მათი უდიდესი ნაწილი რეალურად გახდა განსაკუთრებულად სასტიკი წამების უმწეო მსხვერპლი. ყველაფერსაც თავი რომ დავანებოთ, ამას კონკრეტული ფაქტებით (და არა მხოლოდ ალქმებით!) ნებისმიერ სასამართლოში დადასტურებს სააკაშვილის რეჟიმის ციხეგამოვლილ პირთაგან შემთხვევითი შერჩევითი სამართლოში დაბარებული ასიდან ასივე თუ არა, 90-ზე მეტი მაინც, მონემე. ამიტომ, არა მგონია, მაინცადამაინც რთული იყოს სააკაშვილის მიერ ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი ამ სისტემური დანაშაულის მტკიცებულებების შეკრება, ანდა თუნდაც ნაფიც მსაჯულთა დარწმუნება, რათა მათ გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანონ.

ოდენ პოლიტიკური განცხადებები, რომ სააკაშვილი არაადამიანური სისტემის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია, რეალური იურიდიულ ბრალდებების გარეშე, სამართალზე დეზინფორმაციული შეტევის იარაღად გამოიყენება. დეზინფორმაციული პროპაგანდის საპირისპიროდ კი რეალური ბრალდებებით ამ საინფორმაციო ომში უნდა გაბატონდეს საზოგადოებრივი აზრი, რომ სააკაშვილს, როგორც უბოროტეს დამნაშავეს, დევნის არა ვინმე ან რამე, არამედ - სამართალი! ამაზრზენია, რომ იგი აქეთ უტევედეს მართლმსაჯულებასა და სამართალს! ეს სათითაოდ ყოველი ქართველის ღირსების უშიშმესი შეურაცხყოფაა და თავისთავადაა უშიშმესი დანაშაული!

**დავით ზარდიაშვილი**



**რაც შეეხება იმ ფაქტს, განმუხტავს თუ არა ეს პოლიტიკურ კრიზისს, არა, რადგანაც ხელისუფლებაც და ოპოზიციაც დასახულ კურსს გააგრძელებენ.**

„ოცნება“ ისევე იტყვის, რომ ენმ გადატრიალებას და რევოლუციას აპირებს, ხოლო ოპოზიცია თავის ამომრჩეველს მოახტყუებს, რომ რევოლუციას მოახდენს. ამ ქვეყანაში რევოლუცია გამოირიცხულია. ენმ-ს ამის არც ერთი რესურსი არა აქვს. მაშინ ან 90-იანი წლების მსგავსი სახელმწიფო გადატრიალება უნდა მოხდეს და ორივე მხარეს შეიარაღებული ხალხი იყოს, რაც გამოირიცხულია, ან კიდევ, მაშინ „ოცნების“ შიგნით ძალოვან სტრუქტურებში გადატრიალება უნდა მოხდეს. არც ესაა მოსალოდნელი, რადგანაც ლილუაშვილი, გომელაური და სხვა მაღალჩინოსნები სააკაშვილის მხარეს არასდროს გადავიდნენ“, - ამბობს ზურაბიშვილი.

რაც შეეხება ოპოზიციის მხრიდან სააკაშვილის ფაქტობრივ გამოყენებას, ზურაბიშვილი ამბობს, რომ 3 წლის განმავლობაში ქვეყანა ამ წიდაობაში იქნება, თუკი სააკაშვილი ციხეში დარჩება და მისი ექსტრადირება არ მოხდება. გვინდა თუ არა, ის არის პოლიტიკური ცხოველი, რომელიც არ გაჩერდება. გორის ჰოსპიტალში გადაყვანის შემდეგ, სხვა გეგმას მოიფიქრებს, რის შედეგადაც ისევ საზოგადოების ყურადღების ქვეშე მოხვდება. მაგალითად, ახლა სასამართლოსთვის მოემზადება.

„ხელისუფლებას ვურჩევ, რასაც ამბობენ, იმის საწინააღმდეგოდ მოიქცენენ, რადგან ასე ოპოზიციას უფრო აჯობებენ.“

# სააკაშვილი არის პოლიტიკური სხოველი, რომელიც არ ბაჩერაბა!

აბა, სხვა გამოსავალი არ არის, რადგანაც სააკაშვილის დღის წესრიგით მოქმედებენ. ის ახლა სასამართლოსთვის მოემზადება და იქ სიტყვით გამოსვლას შეეცდება. გასაგებია, ხელისუფლებას არ უნდა პოლიტიკური გამოსვლების პლატფორმა მისცეს, მაგრამ გირგვლიანის მკვლელობის და გელაშვილის ცემის ფაქტზე თუ ვერაფერს უმტკიცებენ, მაშინ მართლა ქუდი დაიხურონ და წავიდნენ. სასამართლოში მოსამართლეს და პროკურორებს სულ პუტინის აგენტებიც რომ ეძახოს, რა აქვს ამ საქმეზე სათქმელი? არაფერი, სწორედ ამ საქმეებით უნდა აჩვენონ ხალხს, რომ მას სამართლიანად ასამართლებენ. რას ქვია სასამართლოში არ მიჰყავთ, აბა, როდემდე დამლაგვენ? ასე უფრო მის პოლიტიკურ რეკონსტრუქციას ახდენენ“, - ამბობს ზურაბიშვილი.

ანალიტიკოსი გია აბაშიძე ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ საპროტესტო აქციები ყოველდღიურად მცირდება. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ თავად პარტიის მხარდამჭერებიც კი ქუჩის დესტრუქციის მხარეს არ არიან. აბაშიძე ამბობს, რომ მოთხოვნები სააკაშვილის გათავისუფლებაზე და რეგარეშე არჩევნების დანიშვნაზე, აბსურდია და ამას როგორც ენმ-ის მხარდამჭერები, ასევე ჩვენი დასავლელი პარტნიორები ათვითცნობიერებენ.

„შიგნით „ნაციონალების“ პარტიაში რომ ამის შემდეგ ბზარები კიდევ უფრო გაღრმავდება, ამას უახლოვეს მომავალში დაგინახავთ. რაღაცა პატარა შეკრებებს დაქირავებული 500 ან 600 კაციც ენმ ყოველთვის მოახყობს. თუმცა არაფერი გამოუვათ. ახლა ველი, რომ მეტად უკვე თამაშგარეთ დარჩება და მას მალე პარტიიდან წასვლა მოუწევს. სადაცაა ზამთარი მოვა და ქუჩაში უფრო აცვივდება. ბოლოს გარეთ გამოსვლისთვის ხალხსაც ველარ დაიქირავებენ. ეჭვი მეპარება, რომ მაქსიმუმ 23 ნოემბრის შემდეგ რაიმე მასობრივი აქციები მოახყონ.“

რასაკვირველია, სააკაშვილი მინიდრამების დადგმას გააგრძელებს. არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს ფეიკინუსები, ვითომ არ მკურნალლობენ და მისი წამვლას აპირებენ. ვილაცა ფიზიკურად გაუსწორდა და ა.შ. ის მინიმუმ 6 დღეც კი ვერ შეძლებს ყურადღების გარეშე დარჩეს. ეს მისი ბუნებრივი გამომდინარე მოსალოდნელია. ამაში კი ხელს მისი ჯიბის მედიები და დირექტორები შეუწყობენ. თუმცა ეს მასშტაბური და გლობალური პრობლემა ვეღარ იქნება. სააკაშვილი მას შემდეგ გადაჰყავთ კლინიკაში, რაც მისი მდგომარეობა რეალურად დამიმდა“, - ამბობს აბაშიძე.

**ლიკა ხარიკაშვილი**

# შეშორებული მანბანების მოპოვებას არ აპროტესტებენ

„შეშორების“ მანბანების საბადოზე გაცემულ ლიცენზიასთან დაკავშირებით, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წიაღის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მხარის რწმუნებულთან და ადგილობრივი ხელისუფლების წევრებთან ერთად ლიცენზიატი კომპანიის - შპს „ტექნოლოჯი 2021-ის“ წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

როგორც შეხვედრაზე გახდა ცნობილი, კომპანიის ინიციატივით, რომ შეიქმნას ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტებული მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც გააკონტროლებს აღებული ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის გარემოსდაცვითი საკითხებს, რე-



კულტივაციის უზრუნველყოფას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და ა.შ.

„ტექნოლოჯი 2021-ის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მზად არიან, ყველა ვალდებულება, რაზეც მოსახლეობასთან შეთანხმდებიან, მემორანდუმში გაინეროს და მისი ყოველი პუნქტი მკაცრად გაკონტროლდეს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა, რასაც ლიცენზიატი კომპანია მოსახლეობის წინაშე დებს, არის ის, რომ ადგილზე არ აშენდება გამამდიდრებელი ფაბრიკა, რათა არ დაბინძურდეს არსებული წყლები, კომპანია ასევე აცხადებს, რომ მანბანების მოპოვების არეალში, ყოველი ორასი მეტრის ფართობის დამუშავების მერე მოხდება მინის რეკულტივაცია, ის დაუბრუნდება თავდაპირველ სახეს და მხოლოდ ამის შემდეგ გაგრძელდება მომდევნო ორასი მეტრის ფართობიდან წიაღისეულის მოპოვება და კვლავ მინის რეკულტივაცია.

კომპანიაში ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, მათთვის კიდევ იქმნება სხვა, დამატებითი სამუშაო ადგილებიც, მათ შორის, ფერმებსა და საკალმასებში, რომელთა შექმნასაც კომპანია აპირებს. როგორც „ტექნოლოჯი 2021-ის“ წარმომადგენლები აცხადებენ, ადგილობრივი მოსახლეობა, ძირითადად, არ ეწინააღმდეგება შქმერში მანბანების მოპოვებას, თუმცა, არსებობს გარკვეული ადამიანების ჯგუფი, რომლებიც არასაკმარის არგუმენტებით აპროტესტებენ მათ საქმიანობას.

# ჭყონდილის ეპარქიაში ისევ ხმაური და დაპირისპირება იყო

გუშინ ხმაური და დაპირისპირება იყო ჭყონდილის ეპარქიაში. ამჯერად, წაჩხურუს მამათა მონასტერში, წირვის ჩასატარებლად მოსულ მუფე სტეფანეს განკვეთილი ბერების ნაწილი და მრევლი სიტყვიერად დაუპირისპირდა. ადგილზე მოხილი ზებულნი იყვნენ სამართალდამცველები.

შეკრებები წარწერებითა და ტრანსფარანტებით დახვდნენ მუფეს, რომელმაც მათ სიმშვიდისკენ მოუწოდა. დაპირისპირების მიუხედავად წირვა მშვიდობიანად ჩატარდა.





ინფლაცია ისევ იზრდება!

# სოციალურ ზემოქმედებას 633000 ადამიანი იღებს!

## საქართველოს ყოველი მეხუთე მოქალაქე სიღარიბეში ჩაიძირა

ნიშნავს, რომ არც მომავლის პროგნოზი და მამიძეძეძე... „შარშან და წელს არსებულმა მაღალმა ინფლაციამ საერთოდ გადაფარა ეკონომიკური ზრდისგან გამოწვეული სარგებელი. ნამდვილად დიდი წინსვლა გვაქვს, მაგრამ მისგან სარგებელს უმეტესწილად იღებს ის სექტორები, რომლებიც ახლოს იყო ფულთან, ეს არის ბანკები და სახელმწიფო ტენდერების მომგები კომპანიები. მოსახლეობის მდგომარეობა კი საკმაოდ გაუარესდა, ფასები ისევ გაიზარდა და, სამწუხაროდ, არც მომავლის პროგნოზი და მამიძეძეძე...

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი ნახტომისებურად გაიზარდა და შეიძლება ითქვას, რომ ასეთ მდგომარეობაში დღეს უკვე ყოველი მეხუთე ადამიანია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ზედიზედ რამდენიმე თვეა ეკონომიკა ორნიშნა მაჩვენებლით იზრდება, სოციალური კუთხით მდგომარეობა უფრო იძაბება და ვითარების გამოსწორების შესაძლებლობა ჯერჯერობით არ ჩანს. რამდენიმე დღის წინ ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა, რომ ამჟამად საქართველოში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა მოსახლეობის არაერთ ფენაზე ნაწილდება. მანვე სიღარიბის დღეს არსებული მაჩვენებელი 2005, 2006 და 2007 წლებში არსებულ მაჩვენებ-

ლებს შეადარა და აღნიშნა, რომ მასთან მიმართებით დღეს უფრო დაბალი სიღარიბე სწორედ ხელი-სუფლების დამსახურებით არის მიღწეული. თუმცა მინისტრს არაფერი უთქვამს იმაზე, რომ 2020 წელს საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი ტემპით გაიზარდა და 2019 წელს არსებული 19.5%-დან 21.3% გახდა, რაც რაოდენობრივად 793 808 ადამიანი, ანუ ყოველი მეხუთე მოქალაქეა. მართალია, ქვეყანაში ყოველთვიურად ორნიშნა ეკონომიკური ზრდა აღირიცხება, მაგრამ ეს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობაზე ოდნავადაც ვერ მოქმედებს. სწორედ ამაზე საუბრობს ანალიტიკოსი მერაბ ჯანიაშვილი და აღ-

## მონაცემები განუწყვებლივ უმჯობესდება

# მორიბი რეკორდი ექსპორტში!



სამსტაბის 2021 წლის ოქტომბრის საგარეო ვაჭრობის წინასწარი მონაცემებით, გასული თვის განმავლობაში საქართველომ უცხოეთში 411 მილიონი დოლარის საქონელი გაიტანა, რაც პანდემიის დაწყებამდე რეკორდული მაჩვენებელია და წინა წლის ანალოგიური პერიოდის ექსპორტს 31.3%-ით აღემატება. რაც შეეხება იმპორტს, მისი მოცულობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა და ოქტომბერში 904 მლნ დოლარი შეადგინა, ეს წინა წელთან შედარებით 24%-ით მეტია. საგარეო ვაჭრობის კომპონენტების ზრდა ეკონომიკის მინისტრმა საქართველოს მთავრობის სხდომის შემდეგ შეაფასა და განაცხადა, რომ ქვეყანაში ოქტომბრის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა საკმაოდ დადებითია. ქვეყანაში იმპორტთან შედარებით ექსპორტის წინსვრები ზრდა გვაქვს, რაც საქართველოს მთავრობის იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკით არის განპირობებული. ექსპორტის შთამბეჭდავ მონაცემებს აფასებენ სპეციალისტებიც. ეკონომიკის დოქტორმა სოსო არჩვაძემ ბოლო სტატისტიკური მონაცემები დეტალურად გააანალიზა. მისი ინფორმაციით, ოქტომბრის ექსპორტმა გადააჭარბა: გასული წლის ოქტომბრის ანალოგიურ მაჩვენებელს — 31.4 პროცენტით, 2019 წლის ოქტომბრის მაჩვენებელს — 28.6 პროცენტით, ხოლო მიმდინარე, 2021 წლის იანვარ-სექტემბრის საშუალო თვიურ მაჩვენებელს — 24.0 პროცენტით. საშუალო სადღეღამისო ექსპორტი 2021 წლის ოქტომბერში აღემატებოდა: წინა წლის ოქტომბრის მაჩვენებელს — 3.2 მლნ. აშშ დოლარით, პანდემიამდელი, 2019 წლის ოქტომბრისას — 3.0 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის მაჩვენებელს — 2.6 მლნ. აშშ დოლარით. იოსებ არჩვაძის ინფორმაციით, მთლიანად, წლის დასაწყისიდან საქართველოს ექსპორტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან გაიზარდა 24.9 პროცენტით და თითქმის 3.4 მლრდ. აშშ დოლარს შეადგინა. ეს პანდემიამდელი 2019 წლის პირველი ათი თვის მაჩვენებელს 11.0 პროცენტით აღემატება. ექსპორტის ასეთი დინამიკა ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს ქვეყნის

მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. „საქართველოდან ყოველი ერთი მილიარდი აშშ დოლარის ექსპორტის განსახორციელებლად 2021 წელს სჭირდება მხოლოდ 81 დღე, რაც 15 დღით ნაკლებია 2019 წელთან და 73 დღით ნაკლები — 2012 წელთან შედარებით. ექსპორტის პარალელურად, იზრდება იმპორტის მოცულობაც. ოქტომბერში მან 904.0 მლნ დოლარს მიაღწია, რაც წინა წლის ოქტომბრის მაჩვენებელს 24.0 პროცენტით, ხოლო მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის საშუალო თვიურ მაჩვენებელს 17.2 პროცენტით აღემატება. ამასთან, იმპორტის მოცულობა 2.2 პროცენტით ჩამორჩა კრიზისამდელი, 2019 ოქტომბრის დონეს (2019 წ. ოქტომბრის იმპორტი — 924.4 მლნ. აშშ დოლარი), რაც ნამდვილად არ უნდა ჩაითვალოს ერთმნიშვნელოვნად უარყოფით მოვლენად. საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2021 წლის ოქტომბერში 1315.1 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო მთლიანად წლის დასაწყისიდან — 11.4 მლრდ. აშშ დოლარს, რაც წინა წლის მაჩვენებელს აღემატება, შესაბამისად, 26.2 პროცენტით და 23.0 პროცენტით, ამასთან, 2021 წლის იანვარ-ოქტომბრის საგარეო სავაჭრო ბრუნვა 5.3 პროცენტით უსწრებს პანდემიამდელი, 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს,“ — მიაჩნია სოსო არჩვაძეს.

ეკონომიკის ექსპერტის შეფასებით, თანდათან უმჯობესდება ექსპორტის იმპორტის გადაფარვის მაჩვენებელიც, რომელმაც 2021 წლის ოქტომბერში 45.5 პროცენტი, ხოლო მთლიანად წლის დასაწყისიდან 42.6 პროცენტი შეადგინა — გასული წლის მაჩვენებლებზე, შესაბამისად, 1.2 პუნქტით და 0.5 პუნქტით მეტი (2020 წელს, შესაბამისად, 44.3% და 42.1%). „აღნიშნული მონაცემები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ პოზიტიურ ტრენდს საგარეო ვაჭრობაში, რაც დასტურდება არა მარტო ექსპორტის ორნიშნა ზრდით, არამედ იმითაც, რომ მისი მატების ტემპი ორჯერ და მეტად უსწრებს ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ასევე საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს. იმის გათვალისწინებით კი, რომ ექსპორტში დაახლოებით 3 ადგილობრივი პროდუქტის ექსპორტს უჭირავს, შეიძლება თამამად დავასკვნათ, რომ საქართველო, დიდწილად ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციის წყალობით, წარმატებით ახორციელებს საგარეო სავაჭრო ექსპანსიას და მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების სტრატეგიულ ამოცანას,“ — აღნიშნა არჩვაძემ. თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე ოთარ ანგურაძე კი მიიჩნევს, რომ ექსპორტის ასეთი მაჩვენებლები, პოსტპანდემიურ ვითარებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რიგი მიმართულებები თვითონ თვემდე რეკორდულად უმჯობესდება და ისტორიულ მაქსიმუმამდე ასული. მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ოქტომბრის თვეში, ჯამურად, 2021 წლის პირველ 10 თვეში ექსპორტი გაიზარდა თითქმის 25%-ით და შეადგინა 3.4 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი გაიზარდა 22,3%-ით და 8 მლრდ აშშ დოლარამდე მიაღწია. „ექსპორტის ასეთი ზრდა ნათლად გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა არის შედეგზე ორიენტირებული, რაც კარგად ვლინდება საგარეო ვაჭრობის მიმართულიებით. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2021 წელს დაწყებული ახალი სამთავრობო პროგრამები 2022 წლის ექსპორტის სტატისტიკაში მნიშვნელოვან ზრდას გამოიწვევს, რაც პოზიტიურ გავლენას მოახდენს სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზეც,“ — აღნიშნა ოთარ ანგურაძემ. **გამა დანელია**

ბამოქანინი მცენიერსა და სახელმწიფო მოღვაწეს აკადემიკოს ჯონი ხეცურიანს 2021 წლის 23 ნოემბერს 70 წელი შეუსრულდება.

ჯონი ხეცურიანი 1973 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში და განვლო მეცნიერი თანამშრომლის თითქმის ყველა საფეხური: იყო ასპირანტი, უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სახელმწიფოსა და სამართლის დამოუკიდებელი კვლევის ცენტრის ჩამოყალიბებაში. მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად ჯონი ხეცურიანი მრავალი წელი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით (1999 წ.) მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მუშაობის დროს ჯონი ხეცურიანი აქტიური მონაწილეობა მიიღო 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მიმდინარე ჯარების მიერ მშვიდობიანი მიტინგის აღკვეთისას მომხდარი ტრაგედიის გამოძიებაში. მოამზადა და გამოაქვეყნა მიტინგის აღკვეთისა და ქ. თბილისში კომუნდანტის საათის შემოღების კანონიერების შესახებ დისკუსიები, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტრაგედიის გარემოებათა ობიექტურ გამოკვლევასა და ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში. 1990 წელს მან ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის შემუშავებაში. სწორედ ამ კანონის საფუძველზე 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში გაიმართა მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები, რომელშიც გამარჯვება ეროვნულმა ძალებმა მოიპოვა.

ჯონი ხეცურიანი წარმატებით მოღვაწეობს სამართლის რამდენიმე დარგში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც ქართული იურიდიული მეცნიერების, ისე სამართალ-შემოქმედებისა და სასამართლო ხელისუფლების განვითარებაში.

აღსანიშნავია ჯონი ხეცურიანის დამსახურება საქართველოს სამოქალაქო სამართლის განვითარებასა და სამართლის ამ ფუნდამენტური დარგის საკანონმდებლო საფუძველების შექმნაში. ჯონი ხეცურიანი 1977 წელს სარკვის იურიდიულ ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც ეძღვნებოდა მორალური ნორმების მნიშვნელობას სამოქალაქო სამართალში. ამ თემაზე გამოქვეყნებული მონოგრაფიისათვის 1982 წელს მას მიენიჭა საკანონმდებლო პრემიის მეცნიერების დარგში. საგულისხმოა, რომ მორალური ნორმების იურიდიული მნიშვნელობის შესახებ ჯონი ხეცურიანის მიერ საბჭოთა პერიოდში შემუშავებული საკანონმდებლო წინადადებები 20 წლის შემდეგ გაზიარებულია და დანერგულია საქართველოს ახალ სამოქალაქო კოდექსში (1997 წ.).

ჯონი ხეცურიანი პირველად სისტემურ-ფუნქციური მეთოდით გამოიკვლია სამოქალაქო სამართლის ფუნქციები და შემუშავა საკანონმდებლო წინადადებები სამოქალაქო სამართლის ფუნქციური შესაძლებლობის ეფექტიანი განხორციელებისათვის. მისი მეცნიერული კვლევის შედეგები აისახა 1990 და 1995 წლებში ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემულ მონოგრაფიებში და 1994 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცულ მის დისერტაციას და სამოქალაქო სამართლის ფუნქციების პრობლემის მეცნიერული კვლევის შედეგებს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სამართლის ზოგადი თეორიისა და ცივილიზაციის, ისე კანონშემოქმედებისათვის. მან ხელი შეუწყო საქართველოში თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობის თეორიული საფუძვლების მომზადებაში. ჯონი ხეცურიანის მიერ შესრულებული კვლევის შედეგები გაზიარებულია საქართველოს ახალ სამოქალაქო კოდექსში (1997 წ.), რომლის შექმნაშიც მან აქტიური მონაწილეობა მიიღო. ასევე მნიშვნელოვანია ჯონი ხეცურიანის მონაწილეობა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარების მომზადებაში, რომელიც 1999-2001 წლებში გამოიცა ხუთ ტომად.

ჯონი ხეცურიანს დიდი წვლილი მიუძღვის სისხლის სამართლის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემის – სიკვდილით დასჯის მეცნიერულ გამოკვლევასა და საქართველოს კანონმდებლობაში მის საბოლოოდ გადაწყვეტაში. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მან ხელი მოჰკიდა სიკვდილით დასჯის პრობლემის მეცნიერულ შესწავლას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ თინათინ წერეთლის მხარდაჭერით, ჯონი ხეცურიანი 1979 წელს გამოაქვეყნა პირველი სამეცნიერო წერილები სიკვდილით დასჯის თაობაზე, რომელშიც დასაბუთებული იყო სასჯელის ამ სახეობის გაუქმების აუცილებლობა. მან არა მარტო მეცნიერული გამოკვლევები მიუძღვნა სიკვდილით დასჯას, არამედ პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის. 1991 წელს საქართველოს იუსტიციის მინისტრად მუშაობის დროს, ჯონი ხეცურიანის ინიციატივით, საქართველომ, საბჭოთა სივრცეში პირველად, სიკვდილით დასჯა გააუქმა ქონებრივი ხასიათის დანაშაულებებისათვის, რითაც საქართველოში სიკვდილით დასჯის ეტაპობრივი გაუქმების პროცესი დაიწყო. 1996 წელს მისი წერილით „სიკვდილით დასჯა: პო თუ არა“ დაიწყო დისკუსია ამ პრობლემის საბოლოოდ გადასაწყვეტად. დისკუსიის შედეგები და მეცნიერული არგუმენტები სიკვდილით დასჯის პრობლემის შესახებ სრულყოფილად იქნა გაშუქებული 1997 წელს გამოცემულ მის ნაშრომში „სიკვდილით დასჯა. არ-



# სასამართლო და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების რეფორმებში

## აკადემიკოსი ჯონი ხეცურიანი 70 წლისაა

გუმენტები და ფაქტები“. იმავე წელს საქართველომ მიიღო კანონი სიკვდილით დასჯის სრულად გაუქმების შესახებ. ამ კანონის შემუშავებასა და მიღებაში ჯონი ხეცურიანს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის.

ჯონი ხეცურიანი მეცნიერულად დაამუშავა აგრეთვე საკონსტიტუციო სამართლის მთელი რიგი აქტუალური პრობლემები, რომლებიც ეხებოდა პოლიტიკური პარტიების სამართლებრივ სტატუსს, საარჩევნო სისტემის, უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტებს და სხვ. კვლევის შედეგები აისახა 1990-1991 წლებში ამ საკითხებზე მიღებულ საკანონმდებლო აქტებში, მათ შორის, კონსტიტუციაშიც. აღსანიშნავია, რომ უშუალო დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის რეფერენდუმის შესახებ კანონის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნა ჯონი ხეცურიანის უშუალო მონაწილეობით, 1991 წლის 31 მარტს საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე. ჯონი ხეცურიანი არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის (1991 წლის 9 აპრილი) ერთ-ერთი ავტორი და ხელმოწერილი.

ჯონი ხეცურიანი აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს კონსტიტუციის (1995 წ.) პროექტის შემუშავებაში. იგი იყო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად მონაწილეობდა ქ. ჩიკაგოში და ვენეციის კომისიაში გამართულ (1994 წ.) საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის სამართლებრივი საკითხებისადმი მიძღვნილი ჯონი ხეცურიანის სამეცნიერო შრომების მნიშვნელობა. მის ნაშრომებში „სახელმწიფო და ეკლესია“, „ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები“ და სხვ. დასაბუთებულია წინადადება საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრის მიზანშეწონილობის შესახებ. კანონმდებელმა გაიზიარა ეს წინადადება და 2002 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება დაიდო. ჯონი ხეცურიანი უშუალოდ მონაწილეობდა კონსტიტუციური შეთანხმების პროექტის შემუშავებასა და მიღებაში.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის სამართლებრივი ურთიერთობის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის 2014 წელს ჯონი ხეცურიანი დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა გიორგის ოქროს ორდენით.

ჯონი ხეცურიანი 2006 წელს გამოსცა წიგნი „დამოუკიდებლობიდან სამართლებრივ სახელმწიფოსაკენ“, რომელშიც სამართლებრივი რაკურსით გაშუქებულია XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში მომხდარი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნში პირველად გამოქვეყნდა 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტის ხელნაწერები, რომლებიც ზვიად გამსახურდიასა და ჯონი ხეცურიანს ეკუთვნის.

ჯონი ხეცურიანი მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო რუსეთის მიერ საქართველოსთან მიმართებით ბოლო წლებში გატარებული პოლიტიკის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტების კვლევას. 2008 წელს გამოქვეყნებულ მის ნაშრომში „სამართალი რუსულად“ გამოკვლეულია 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებული ძალების გამოყენებისა და საქართველოს შეიარაღებული რეგიონების - აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებების იურიდიული ბუნება. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ რუსეთის პრეზიდენტის ეს ბრძანებულებები უხეშად არღვევენ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს და საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის, ოკუპაციისა და ეთნიკური წმენდის შედეგების იურიდიულად გაფორმების მცდელობაა მხოლოდ. ამის გამო მათ არა აქვთ იურიდიული ძალა და არ წარმოშობენ სამართლებრივ შედეგებს. ჯონი ხეცურიანის ეს ნაშრომი 2008 წელს გამოქვეყნდა აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე შედგენილი გამოცემაში „ურუნალში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო თანამეგობრობის სწორი ინფორმირებისა და საქართველოს ინტერესების დაცვისათვის.

ჯონი ხეცურიანი სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალურ პრობლემებზე მის მიერ შესრულებული ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება საქართველოში სახელმწიფო მმართველობის ფორმების, სახელმწიფო ენის, რელიგიური გაერთიანებების, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების და სხვა პრობლემებს, გამოსცა ცალკე წიგნად - „ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში“ (2011 წ.). ამ ნაშრომისათვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ჯონი ხეცურიანი მიანიჭა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის თინათინ წერეთლის სახელობის პრემია.

ჯონი ხეცურიანი 2016 წელს გამოსცა მონოგრაფია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება“, რომელშიც გამოკვლეულია საქართველოში სასამართლო ხელისუფლების შედარებით ახალი ინსტიტუტის – საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების თეორიული და პრაქტიკული საკითხები. ეს გამოცემა საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების ოცი წლისთავს მიეძღვნა.

2017 წელს ჯონი ხეცურიანი, როგორც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) მომზადებაში. მისი წინადადებები გათვალისწინებული იქნა საქართველოს კონსტიტუციაში უნდაოლობის კონსტრუქციული ვოტუმის, ქორწინების დეფინიციის, სახელმწიფო ენის სტატუსის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების განსაზღვრისა და სხვ. 2020 წელს კი მან გამოაქვეყნა თავისი მონოგრაფიის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება“ მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების საკითხები განხილულია საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის (2017 წ.) საფუძველზე.

ჯონი ხეცურიანი სამეცნიერო მოღვაწეობას წარმატებით უთავსებს საზოგადოებრივ და სახელმწიფო-პოლიტიკურ საქმიანობას. 2001 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2013 წელს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად. ჯონი ხეცურიანი ორჯერ იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, არჩეული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ. მას მინიჭებული აქვს იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველის სპეციალური წოდება და უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლის საკლასო ჩინი, იყო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, იუსტიციის საბჭოს, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის წევრი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯონი ხეცურიანის მოღვაწეობა ახალი ქართული კანონმდებლობის შექმნასა და სამართალმცოდნეობის სისტემის რეფორმირებაში. იგი ხელმძღვანელობდა კანონმდებლობის ფუნდამენტურ დარგებში კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადების სამთავრობო კომისიას, საფუძველი ჩაუყარა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან ურთიერთობას. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში, პოსტსაბჭოურ სივრცეში პირველად განხორციელდა სასამართლო რეფორმა (1990-1991 წწ.), პენიტენციური სისტემის რეფორმა (1999-2000 წწ.), საკონსტიტუციო მართლმსაჯულების რეფორმა (2002 წ.).

**გულითადად ვულოცავთ აკადემიკოს ჯონი ხეცურიანს 70 წლის იუბილეს და ვუსურვებთ ახალ შიშობიერებით წარმატებას.**

**სამართლებრივი მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საზოგადოებრივი მეცნიერებათა განყოფილება**

არ არსებობს ალაფინის ცხომ-რებისა და საჭიანოების ისეთი სფერო, რომლისთვისაც წიაღისეულის რესურსები უპირველესი ღირებულების საბანს არ წარმოადგენდეს. სწორედ წიაღისეულის ღირებულებისა და მოპოვების საქმიანობებს ვეუბნებით ბევრ დარგსა და აქედან გამომდინარე ეკონომიკის განვითარებას.

ყველა ქვეყანას ბაზენია სახალხო მეურნეობის ბაზისური დარგები, რომლებიც განსაზღვრებენ დანარჩენი დარგებისა და საექსპორტო კავშირების ხასიათს სავაჭრო პარტნიორებთან მსოფლიო ბაზარზე. საქართველოსთვის ასეთ ბაზისურ დარგად შეიძლება განვიხილოთ მეურნეობითი წარმოება, რომლის განვითარებისთვის ყველა პირობა არსებობს. პირველ რიგში ეს განვიხილოთ რამდენიმე მრავალფეროვანი და მდიდარი სასარგებლო წიაღისეული და კარგად განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

სამთო მოპოვებითი დარგების უწყვეტობისთვის საუკეთესოა მინერალური ნაღველი. საწარმოებელი ბაზისი გამოყალიბება ხორციელდება გეოლოგიურ-საბუნებრივ საფუძვლებზე დასაყრდენად, სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო მარაგების განსაზღვრის, მათი ტექნოლოგიური და მუშაობის და წიაღისეულის სამრეწველო ღირებულების ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე. ამოღებული ნაღველი უნდა წარმოადგინოს მოპოვების საფუძვლებს და წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავებას. ამრიგად, მინერალური ნაღველი წარმოების სასაბუნებრო პრინციპია.

ამდენ იკვეთება სამთო-მოპოვებითი გადაამაშეშავებელი წარმოების პრობლემების ერთობლიობა – სანედლეულო ბაზის ფორმირება, მინერალური ნედლეულისა სასაქონლო პროდუქციის წარმოება. ამ ამოცანების გადაჭრა ხორციელდება გეოლოგიურ-საბუნებრო პროცესის ინტეგრირების, სამთომომპოვებელ-გადამაშეშავებელი სისტემების შექმნა-ფუნქციონირების და სასაქონლო პროდუქციის მწარმოებელი მრეწველობის ფორმირების გზით.

მოტანილი ტრადიციები წამყვანი ადგილი უჭირავს სანედლეულო ბაზის-მინერალური ნედლეულის წარმოების საფუძველს. მისი ფორმირება და გაფართოება ქვეყნის მინერალურ-რესურსული პოლიტიკის მთავარ შემადგენელ ნაწილად უნდა იქცეს. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში მინერალურ-რესურსული ფაქტორების როლის გაზრდა შესაძლებელია ეკონომიკური ტევადობის მქონე ბიზნეს-ინადადებების შემუშავების, მათი რეკლამირების, ინვესტიციების მოზიდვისა და რეალიზაციის გზით.

საქართველოში თითქმის 150 წლის განმავლობაში შეიქმნა და მოქმედებდა ორგანიზებული გეოლოგიური სამსახური კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურითა და სათანადო აღჭურვილობით.

საქართველოს გეოლოგიურ სამსახურს უდიდესი ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალი გააჩნდა. ქართველ გეოლოგებს, როგორც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ასევე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არაერთი სხვადასხვა დანიშნულების მრავალპროფილიანი გეოლოგიური სამუშაოები აქვთ ჩატარებული.

გეოლოგიურმა სამსახურმა შექმნა მნიშვნელოვანი მატერიალური ღირებუ-

# გეოლოგიისა და სამთო მოპოვების სახელმწიფო პოლიტიკა სრულყოფას მოითხოვს!



ლებანი – სახელმწიფო ბალანსზე იყო აყვანილი 70-მდე დასახელების სასარგებლო წიაღისეული, 400-ზე მეტი საბადო და გამოვლინება, რომელთა ეკონომიკური პოტენციალი წინასწარი მონაცემებით 50 მილიარდ აშშ დოლარზე მეტია.

შედგენილი და გამოცემულია გეოლოგიური შინაარსის სახელმწიფო რუკების კომპლექტი და მათი განმარტებითი ბარათები; შეიქმნა საქართველოს მინა-წყლის წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, რომელსაც მრავალმიზნობრივი დანიშნულება აქვს და გამოიყენება სხვადასხვა დარგის გეოლოგიურ-საბუნებრო, სამთომრეწველობის, სამშენებლო საქმის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, ტურიზმის საკითხების ფართო სპექტრის გადასაჭრელად. ასევე, წყალსატევების, კაშხლების, სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების, გვირაბების ნავთობ და გაზსადენების, ტერმინალების, მელორაციული სისტემების და სხვა დიდი მშენებლობების დაგეგმარებისას.

ეს ინფორმაცია არის ქვეყნის მინერალური ნედლეულის ბაზის აღწერის ელემენტი და განმტკიცების, მინერალურ-რესურსული პოლიტიკის სწორად წარმართვის, მინერალური ნედლეულის მომხმარებელი დარგების განვითარების და ფუნქციონირების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის საფუძველი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში წინა პლანზე გამოინა ქვეყნის მინერალური ბაზის განვითარების, აღწერის და გონივრული გამოყენების პრობლემებმა.

2004 წლამდე ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში ფუნქციონირებდა გეოლოგიური სამსახური – გეოლოგიური სამმართველო (შემდეგ გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი), რომელმაც 1992 წლიდან არაერთგზის განიცადა მეთაიროფობა, 2004 წელს კი „გარდების რეკონსტრუქციის“ შემდეგ საერთოდ გაუქმდა.

გეოლოგიის დეპარტამენტში შემუშავებული იყო მრავალწლიანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებდნენ გეოლოგიის ცალკეული დარგების, მიმართულებების განვითარებას და სასარგებლო წიაღისეულის ჩართვას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში. სამუხაროდ, დეპარტამენტს არ დასცალდა აღნიშნული პროგრამების რეალიზაცია.

დღეს გარემოს და ბუნებრივი დაცვის სამინისტროსთან არსებობს უსაფრთხოებისა და გეოლოგიური გარემოს მართვის დეპარტამენტი, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სტიქიური გეოლოგიური მოვლენების ზასტაეტურ დადასტურება, მათზე დასკვნარეკომენდაციების მომზადება და არსებულ სასარგებლო წიაღისეულის საბადოებზე ინფორმაციების გაცემა.

სასარგებლო წიაღისეულის რესურსების რაციონალური სარგებლობის სახელმწიფო პოლიტიკას კი ახორციელებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელთანაც არის გადასამიმართებელი ეს ფუნქციები.

ამ ამოცანების სახელმწიფოებრივი და სტრუქტურული მნიშვნელობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გეოლოგიური და სამთო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების და მართვის შემდეგი მოდელი:

აღმასრულებელ ხელისუფლებაში ჩამოყალიბდეს დამოუკიდებლად მოქმედი სამთავრობო დაწესებულება – გეოლოგიის და სამთო საქმის სახელმწიფო დეპარტამენტი. მას უნდა გადაეცეს სხვა სამთავრობო დაწესებულებების ის ფუნქციები, რომლებიც დაკავშირებულია გეოლოგიურ და სამთო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებასა და მართვასთან. მისი რომელიმე სამინისტროსთან მიერთება ან დაქვემდებარება მიზანშეწონილი არ არის იმ შემთხვევაში თუ დეპარტამენტი, როგორც სამთავრობო დაწესებულება არ იქნება გათვალისწინებული საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში, მიზანშეწონილი იგი დაქვემდებაროს სახელმწიფო კანცელარიას.

საქართველოს სახელმწიფო გეოლოგიური და სასახურის ძირითადი მოვალეობაა ფუნქციები უნდა იყოს:

- საბარტველოს მინა-წყლის წიაღის რეგულირების უწყვეტი მართვა, ახალი თაობის სხვადასხვა მასშტაბის გეოლოგიური შინაარსის სახელმწიფო რუკების კომპლექსური შედგენა-გამოცემა, მათ საფუძველზე მინერალური რესურსების გეოლოგიური რეგულირების და მართვის უწყვეტი მართვა;
- მინის ქარში მიმდინარე სამთო გეოლოგიური პროცესების და ადგილობრივი მონიტორინგის უწყვეტი მართვა;
- ქალაქებისა და სოფლების სასაბუნებრო და ტექნიკური წყლით მოვარგების უზრუნველყოფა;
- ქვეყნის თავდაცვის უზარიალო ბაზის განვითარების რიგი საკითხების გადაჭრა;
- ეროვნული მეურნეობის აღდ-

გენის რეალური სანედლეულო ბაზის შემდგომ-დაგეგმვა;  
– სასარგებლო წიაღისეულის ბაზის მართვა და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშეწყობის პირობების შექმნა;  
– სახელმწიფო ბალანსზე რიცხული მინერალური ნედლეულის ბაზის (მისი ნაწილის) სწრაფი კაპიტალიზაცია და ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის შესრულებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება.

ყოველივე ეს ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ გეოლოგიური დარგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული დარგი უნდა იყოს. იგი სახელმწიფოს მინერალურ-რესურსული პოლიტიკის საფუძველია. ამ უკანასკნელის ბაზაში იქმნება მარეგულირებელი სისტემა, რომელიც მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიებაზე და კომპლექსურ შესწავლაზე ორიენტირებულ დარგს – გეოლოგიას და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებელ, გადაამაშეშავებელ და პროდუქციის მომხმარებელ დარგებს. 2004 წლამდე ამ ფუნქციებს ასრულებდა გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი.

ამჟამად წიაღით სარგებლობის გადასახადი მთლიანად მიემართება ბიუჯეტში და არ ხმარდება მინერალური ბაზის აღწერისათვის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ თანხის ნაწილი წარმართოს მარეგულირებელი ორგანოს სპეციალურ ანგარიშზე ხაზინაში, აისახოს სახელმწიფო ბიუჯეტში და გამოყენებული იქნეს მითითებული ორგანოს საოპერაციო ხარჯების დასაფარავად და წიაღის გეოლოგიური შესწავლის და მინერალური ნედლეულის ბაზის აღწერისათვის სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად.

მითითებული სამსახურის ფუნქციონირება მკვეთრად აამაღლებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის ამოცანების გადაჭრის დონეს. მხოლოდ გეოლოგიური სამსახურის სამთო დარგთან ერთად ძალუძს წიაღისეულის გეოლოგიური, ტექნოლოგიური და ეკონომიკური პოზიციებიდან სრულყოფილი კვლევა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სამსახურში მათი ჩაყენება.

**გურამ ხოშარიაძე,**  
გეოლოგი, (ტელ: 899 98 49 74)  
ჟ. ბათუმი

**P.S.** „პარლამის რეკონსტრუქციის“ საქართველოში კიდევ ერთი დარგი შეიქმნა – გეოლოგიური სამსახური. არადა, წიაღისეულის აღწერისათვის და მასთან ერთად სამთო-მოპოვებითი დარგის ფუნქციონირება სწორედ გეოლოგიასთან არის დაკავშირებული. ეს უკანასკნელი კი შეიძლება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღების ერთ-ერთი საბაზისო დარგი გახდეს. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია ქვეყანაში გეოლოგიური სამსახურის აღდგენა და მისი ფუნქციონირების კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცევა.



# ბილსიტყვაობა დანაშაულია!

## ზნეობრივი ატმოსფერო ფასდა!

ერთ სატელევიზიო გადაცემაში ცნობილმა ფსიქოლოგმა რუსუდან გორგილაძემ დაიწყო: **ბილსიტყვაობა უნდა ისჯებოდეს!** ბინძური ენით ლაპარაკი, ცუდი სიტყვების გამოყენება ავადმყოფობაა; „მე ეს ძალიან მალეღებებს: ამას უსმენს მთელი საზოგადოება; რაც მთავარია – მოზარდი თაობა, რომელსაც კ გონია, რომ ეს არის ნორმა... ასეა, როცა მუდმივად ესმით რაღაც და თანაც – ტელევიზიიდან“ რასაკვირველია, ფიქრობენ, რომ დასაშვებია... სახელმწიფოს ვეღვლება, ჩემი აზრით, ძალიან მკაცრად მოიქცეს, საკანონმდებლო დონეზე მოაგვაროს ეს საკითხი“...

ამ თემაზე საუბარიც კი უხერხული მგონია, მაგრამ... იგინებიან მთავრობაში, იგინებიან პარლამენტში, იგინებიან ტელევიზიაში, იგინებიან თეატრში, იგინებიან კინოში, იგინებიან აქციებში...  
 ღია ეთერში იგინება პრემიერმინისტრი, იგინება დეპუტატი, იგინება ტელევიზიის დირექტორი, იგინება ჟურნალისტი, იგინება მსახიობი...

...და ყოველივე ეს ისე მშვიდად ჩაივლის, ვითომც არაფერი... სკაბრეული გამოთქმებით საოცრად დაბინძურებულია ინტერნეტსივრცე – ბილსიტყვაობის ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა... ოდნავი უხერხულობის გრძობაც არ აწუხებთ...

თაობებს ვზრდით ამ ბილსიტყვაობის კორიანტელში... პატარა შვილიშვილს ბებია გაუჯავრდა, ცუდი სიტყვა რატომ თქვიო; ეზოში აღარ გაგიტყვებ, იქ სწავლობ ასეთ გამოთქმებსო... არაო, გულწრფელად ირწმუნებოდა პატარა – ტელევიზორში, „ჩემი ცოლის დაქალებში“, თქვეს ეს სიტყვაო... ველარ აუხსნა ბებო, ის, რაც ტელევიზიით თქვა „ბიძიამ“, რატომ არ შეიძლება გაიმეოროს ბავშვმა...

ერთხელ ქალბატონ ანა კალანდიაძეს მწერლის „ენობრივი თავისუფლებაზე“ ჩამოყვადე სიტყვა; ბრძანა: „არა მგონია, ბილსიტყვაობა, რომელიც დღეს ასე თავმოწონებით იკიდებს ფეხს ჩვენს მწერლობაში, „მწერლის ენობრივი თავისუფლების“ მარვენებელი იყოს! მას... ნარკომანიაზე ნაკლები ზიანი არ მოაქვს ჩვენი ასლაგზარდობისათვის, ქვეყნისათვის! დიდი ილიას ნათქვამს (სხვა ვითარების გამო) გავისხენებ: „მის მაცურებელ ერს ხომ გული უტყდება თავის-თავზე, ისასობა და იმედო ეკარგება და აქედან განა დიდი მანძილია სრულ განადგურებამდე?“

საუკუნის წინათ, 1905 წელს, როცა ნატო გაბუნია-ცაგარელის საბუნეფოს სპექტაკლში სკაბრე-შულმა სიტყვამ გაიფურა, აღშფოთდა მიხეილ ჯავახიშვილი; სასწრაფოდ წერილი გამოაქვეყნა: მსახიობმა „იმდენი უტაქტობა გამოიჩინა, რომ პიესიდან არ ამოშალა და წამოიძახა მყრალად სიტყვა, რომელმაც მთელი დამწრე საზოგადოება გააანთლა“... ჰო, ერთი უწმანური სიტყვა თქვაო...

დღეს?...  
 ფურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში რეჟისორ რობერტ სტურუასთან შეხვედრის დროს გავისხენე ქალბატონი ანას ზემომოყვანილი აზრი და ბატონ რობერტს ვკითხე: „ამ ბოლო დროს ბილსიტყვაობა სცენიდანაც

ხშირად გაისმის და, რაკი მაცურებელი არც ამას ხვდება ერთგვაროვნად, მინდა გკითხოთ: თქვენ რას ფიქრობთ ამგვარი „თავისუფლების“ შესახებ?“  
 ცხადია, ბატონი რობერტიც მიხვდა, რატომ გაჩნდა ეს კითხვა და მიპასუხა:

„პირველად ქართულ სცენაზე ბილსიტყვაობა მაშინ გაისმა, როცა ლაშა თაბუკაშვილის პიესა „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“ დავდგი, მაგრამ აქ სხვანაირად ვერ მოვიტყუოდი. ეს გმირები ამ ენაზე საუბრობენ და როგორც კი ლიტერატურულად ალაპარაკებ, სიყალბეში გადავა...“

როცა ამ პასუხს ვისმენდი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, ბატონი რობერტი სხვას ფიქრობდა და... სხვას ამბობდა... თუმცა ბოლოს მაინც ის თქვა, რასაც ფიქრობდა: )თუმცა მეც თქვენს მხარეს ვარ, ენობრივ თავისუფლებას თავისი საზღვრები სჭირდება“.

დიახ, სავალალო ფაქტია: უხვადაა გაჯერებული ქართული ენობრივი სივრცე ბილსიტყვაობით და არავინაა პასუხისმგებელი, არავინ გრძობს მორალურ თუ იურიდიულ პასუხისმგებლობას...

მორალურ პასუხისმგებლობაზეც მოგახსენებ ერთ საგაკვეთილო მაგალითს (არ უყვართ კი ამგვარი მაგალითების მოსმენა, მაგრამ...): ახლადდარსებული უნივერსიტეტის რექტორს პეტრე მელიქიშვილს პროფესორთა საბჭოს სხდომაზე შელაპარაკება მოსვლია დეკანთან, პროფესორ ანდრია რაზმაძესთან (1919 წელი)... მეორე დღეს რექტორს საბჭოსთვის განცხადება წარუდგენია, თანამდებობიდან გამათავისუფლეთ – თავი ვერ შევიკავე და ისეთი რამ ვიკადრე, რაც არ ეკადრება რექტორსო... ოქმში არ წერია, რა სიტყვები აკადრეს ერთმანეთს (ცხადია არ იქნებოდა ისეთი სკაბრეზი, დღეს რომ გვესმის, მაგრამ...)... საბჭომ დააკმაყოფილა რექტორის თხოვნაც და დეკანისაც! აი, ეს იყო ზნეობრივი გაკვეთილი... დღეს ემოციურობას აბრალდებენ „უნებურად წამოვადენილ“ გინებებს; ამის გამო მორალური პასუხისმგებლობა კი ჯერ არავის უკისრია...

აი, ამგვარი ატმოსფეროს ნატვრა იყო ფსიქოლოგი ქალბატონის საუბარი...

და როცა ზნეობრივი ატმოსფერო ასე წახდა, იურიდიულმა კანონებმა უნდა იკანონონ!

დიახ, გეთანხმებით, ქალბატონო რუსუდან: **ბილსიტყვაობა დასჯადი ქმედება უნდა გახდეს**... უპირველესად ჩვენმა კანონმდებლებმა უნდა იზრუნონ ჩვენი ზნეობრივი სივრცის გაჯანსაღებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე...

ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდისთვის ეს აუცილებელია!...

ბილსიტყვაობა დანაშაულია!..

### გიორგი გოგოლაშვილი,

პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თავმჯდომარე



# უზგულუ რატიანების, ჭელიძეებისა და ღვარჯიანიების 3 კოშკი განახლება

მათი რეაბილიტაცია მას შემდეგ დაიგეგმა, რაც მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს სვანეთს სამუშაო ვიზიტით კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი ეწვია. უზგულუში მინისტრი ადგილზე გაეცნო UNESCO-ს ნუსხაში შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობას და მათი სავალალო მდგომარეობით შეწუხებულ მოსახლეობას დაპირდა, რომ სამინისტრო, ზამთრის დადგომამდე, ქმედით ზომებს მიიღებდა კომპლექსური პრობლემის ნაბიჯ-ნაბიჯ აღმოსაფხვრელად.

„პირველი სამი კოშკი განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობისა და იქიდან გამომდინარე შეირჩა, რომ დაზიანებული სახურავის მიზეზითა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, მომავალ ზამთარს მათ აუნაზღაურებელი ზიანი მიადგებოდათ. სამუშაოების ფარგლებში გამოიკვლიდა კოშკების გადახურვა, რაც მოიცავს ძველი ხის კოჭების ახლით ჩანაცვლებას, იზოლაციის მოწყობას, არსებული ფიქლის ქვის გადაამუშავებას და სახურავის მოწყობას. სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებენ სამუშაო ჯგუფები, რომლებიც, სამინისტროს გადამწყვეტილებით, სრულად დაკომპლექტებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით. სამუშაოების დაწყებისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“.

ზაქრო რატიანის შეწყვილებული (ტყუპი)



კოშკი (სვანურად მურყვამი) უზგულუს თემის უზბიანის უბანში დგას და უნდა ეკუთვნოდეს განვითარებული შუა საუკუნეების ბოლო პერიოდსა და გვიან შუა საუკუნეებს. ის კომპლექსის შემადგენელი ნაწილია (მასზე მიდგმულია მარუბი). ეს არის ხუთსართულიანი ორი ერთმანეთზე მიდგმული კოშკი, რომელიც თავის დროზე ალდგენის შედეგად გაუერთიანებიათ და შედეგად ბოლო ორი სართული ერთიან სივრცეს ქმნის.


ზესო ჭელიძის კოშკი (სვანურად მურყვამი) დგას უზგულუს თემის უზან ჩვიბიანში, თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით და ერთადერთი შემორჩენილი კოშკია ამ უბანში. ის კომპლექსის შემადგენელი ნაწილია (მასზე მიდგმულია მარუბი). კოშკი 5-სართულიანია, რომელშიც ასასვლელი ამჟამად საცხოვრებელი სახლიდანაა. სართულშორისი გადახურვა ქვითკირისაა. ქონგური გადახურულია ფიქლით.

ვიტალი (ვარდენ) ღვარჯიანის კოშკი – მურყმელი – დგას უზგულუს თემის უზან მურყმელში და განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება. წარმოადგენს კომპლექსის შემადგენელ ნაწილს (მასზე მიშენებულია მარუბი). კოშკი ექვსსართულიანია. სართულშორისი გადახურვა ხის კოჭოვანია. პარამეტი დახურულია ფიქლის ქვით.

სარეაბილიტაციო სამუშაოები 18 ნოემბერს დაიწყო და მიმდინარე წლის 18 დეკემბერს დასრულდება.

## „ინტელექტი“ 25 წლისაა!

### რომანი დიდ კათოლიკე წმინდანზე



მს ისტორიული რომანი, რომელიც დიდი კათოლიკე წმინდანისა და ფრანცისკანელთა ორდენის დამაარსებლის ფრანცისკე ასიზელის შესახება დაწერილი, ცნობილ მწერალს მწერალს ნიკოლს კავახაძის კალამს ეკუთვნის, მწერლისას, რომელსაც მუდამ

ჰქონდა იმ პიროვნების შეცნობის სურვილი, რომელმაც თავიანთი მოღვაწეობით ეპოქა შექმნეს. ამდენად გასაკვირი არ არის მისი დაინტერესება ფრანცისკე ასიზელის ცხოვრებით.

„ფრანცისკეს სიტყვათა და საქმეთაგან ბევრი რამ თუ გამომჩნა, ზოგიც თუ გადავასხვავებენ ანდაც ის დაავამატე, რაც სინამდვილეში არ მომხდარა, მაგრამ ესაა ძალიან მომხდარიყო, ეს უეცრობის, უტიფრობის ან უპატივცემულობის კი არა, საჭიროების გამო გადავკეთე, რათა, შეძლებისდაგვარად, უკეთ გადმომეცა არსებითი და წმინდანის ცხოვრება მისი აზრისთვის მიმესადაგებინა“, – წერს რომანის შესავალში ნიკოლ კავახაძისი. დიახ, ხელოვნებას და ისეთ დიდ ავტორს, რომელიც რომან „ღვთის გლახას“ ავტორი გახლავთ, აქვს უფლება, მოვალეობაც კი, ყველაფერი არსებითს დაუქვემდებაროს. იგი ისტორიით იკვემება, მას ნელა,

მტკივნეულად ითვისებს და ამბად აქცევს. შესწევს ძალა თავისი ფანტაზიისა და შემოქმედებითი გამოცდილების მიხედვით შეალამაზოს, რათა მკითხველამდე ძირითადი პრინციპების დაურღვევლად, მაგრამ თავისი ინტერპრეტაციით მიიტანოს.

რომანში სისხლსავსედ არის გადმოცემული მე-13 საუკუნის იტალია. იმ დროს ახლადწამოყალიბებული მერთა ორდენების არსებული განსხვავებები. თხზულება გაცურებულია როგორც ქრისტიანული, ისე აღმოსავლური სწავლებებითა და იგავებით. რომანში ვხვდებით იტალიელებსა და სარკინოებს, დიდებულებსა და ჯვაროსნებს, სასულიერო პირებს, – სულთანსა და იერუსალიმის ქრისტიან მეფეს.


„ღვთის გლახა“, რომელიც გამოცემლობა „ინტელექტი“ გამოსცა, იმ მრავალ წიგნთან ერთად, რომელიც გაერთიანებულია სერიათ „ინტელექტი 25 წლისა“ და რომლის პროექტის ავტორიც გახლავთ კახმეგ კუდავა, ახალმწერულიდან თარგმნა მათა კავახილა.

## „კოლხური სერია“

### საუკუნის წინანდელი ლაზეთი

ჩვენი ქვეყნის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის კარგად ნაცნობი და პოპულარული ისტორიკოს მუშა კუდავას მიერ წლების წინ დაარსებული, ნამომთა სერიალი სახელწოდებით „კოლხური სერია“, რომელსაც გამოცემლობა „არტანუჯი“ უკვე მეექვსე წელია აწვდის მკითხველს.

ამ სერიით გამოსული წიგნები „მეგრული სახელები და გვარები“, „მეგრული სალექსიკონო მასალები“, „ლაზური ტექსტები“, „ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები“, „ლაზური (ჭანური) ტექსტები“, „ლაზური გვარსახელები“ და მრავალი სხვა, დიდი ხანია მიმოვრთული იშვიათობად იქცა. „ლაზეთი“, ამ სერიის რიგით მე-12 წიგნია და ცნობილ მეცნიერს ნიკო მარს ეკუთვნის. ამ აღწერილია მისი 1909 წელს ლაზეთში მოგზაურობის მიზანი – ლაზური (ჭანური) ენის კვლევა. გარდა ამ



მისისა, აღნიშნული მოგზაურობის ჩანაწერებმა შემოინახა ფასდაუდებელი ინფორმაცია საუკუნის წინანდელი ლაზეთის მკვიდ-

რთა ყოფა-ცხოვრებისა და ტრადიციების შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა აგრეთვე ცნობები, ერთი მხრივ, ლაზეთი დამოკიდებულების შესახებ საკუთარი ეროვნული იდენტობისადმი და მეორე მხრივ, ორი დიდი იმპერიის ოსმალეთისა და რუსეთისადმი, რომელთა სასაზღვრო ზოლშიც უწევდა არსებობა უძველესი ისტორიის მქონე პროვინციას.

ნიკო მარის შთაბეჭდილებები და დაკვირვებები სერიის ამ წიგნში რუსულ და ქართულ ენებზეა დაბეჭდილი (ქართულად თარგმნა თამარ კორტიკაძემ). თავად დიდი მეცნიერის ეს მონოგრაფია კი თავის დროზე წარდგენილი იყო რუსეთის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების სხდომაზე, 1910 წლის 24 მარტს.

წიგნს ახლავს მართა კასრადის მიერ შედგენილი საძიებლური და ილუსტრირებული ავტორის მოგზაურობის დროს გადაღებული ფოტოები.

მამუკა ვახაძე

ალშეხაბოვის ბოლო ინფორმაციის მიხედვით ამერიკის ალიანს-ტრასიამ ევროპელი მოკავშირეები გააფრთხილა, რომ რუსეთი, შესაძლოა, უკრაინაში შეჭრის გზას განიხილავდეს. უკრაინაზე თავდასხმის ალბათობა მას შებღვავე ბაჩნდა, რაც რუსეთის ხელმძღვანელობამ 100 ათასი ჯარისკაცი განათავსა უკრაინის საზღვართან, რამაც დასავლეთში დიდი შეშოთება გამოიწვია. და ეს ხდება მაშინ, როცა მოსკოვსა და ევროპას შორის დაპაპულობა იმდენად მიმდინარეობს, რომ უკრაინის საზღვართან, რამაც დასავლეთში დიდი შეშოთება გამოიწვია. და ეს ხდება მაშინ, როცა მოსკოვსა და ევროპას შორის დაპაპულობა იმდენად მიმდინარეობს, რომ უკრაინის საზღვართან, რამაც დასავლეთში დიდი შეშოთება გამოიწვია.

# უკრაინის უსაფრთხოება ამერიკის საბრძოლო მზადყოფნაზეა დამოკიდებული



## ლუკაშენკო განგებ ამწვავებს მდგომარეობას

შე, ასეთი სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ასე ამბობენ პირდაპირ: ქვეყანამ უნდა დაიცვას თავისი საზღვრები, მათ შორის, ძალის გამოყენებითაც. მეორე მხრივ, ევროკავშირმა ადამიანის უფლებების დაცვა საკუთარი პოლიტიკის ალფად და ომეგად აღიარა. სწორედ ამ მორალურად მომგებიანი მიდგომით განსხვავდება დასავლეთ ევროპის ქვეყნები სხვა სახელმწიფოებისგან. ევროპა ხომ დევნილთა და ლატაკათა ნამდვილ თავშესაფრად იქცა! რუსეთისა და ბელარუსის ლიდერები კარგად ხედავენ თუ რამდენად მოწყვლადი გახდა ევროპა დევნილთა პრობლემის მიმართ. არავის არ დაეინტერესებია ევროკავშირის მიმართ ერდოლანის ამასწინანდელი შანტაჟი მიგრანტებთან დაკავშირებით. რუსეთი და ბელარუსი ერთ-ერთი იმეორებენ თურქი კოლეგის მაშინდელ ნაბიჯს. პრობლემის მოსაგვარებლად გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა თავისი ავტორიტეტის გამოყენება სცადა და პუტინს სთხოვა გველენა მოეხდინა ლუკაშენკოზე. რუსეთის პრეზიდენტმა კი, მერკელი ლუკაშენკოსთან გადაამისამართა. არადა, ევროკავშირის ლუკაშენკოსთან უკვე დიდი ხანია განწყვიტილი აქვს კავშირი. მერკელს უკან დახევა მოუხნია და პირადად ელაპარაკა ლუკაშენკოს. ერთი სიტყვით, მოხდა ის, რომ მსოფლიომ ლუკაშენკოსთან მერკელის სატელეფონო ზარში ევროპის სისუსტე დაინახა. ლუკაშენკო კი, თითის განძრევასაც არ აპირებს ლტოლვილთა ნაკადის შესაჩერებლად. ფიქრობს, ევროპას მაინც მოუხნევს თვალის დახუჭვა და მიგრანტების ევროპაში შეშვება, რაც კიდევ უფრო გაზრდის უკმაყოფილებასა და სმაურს, განსაკუთრებით, ულტრა-მემარჯვენე პარტიების მხრიდან. პროგნოზი ასეთია: კრიზისი გაღრმავდება და მდგომარეობა სულ დაძაბული იქნება, სანამ ევროკავშირი მიგრაციის კანონს არ მიიღებს. ერთი სიტყვით, ევროპა შანტაჟს ჯერჯერობით ვერსად გაექცევა.



ნუზხარ ზ. რუხიკი  
POSTV

მედების შესაძლებლობის შესახებ გაფრთხილებას იძლევა, მოწმობს იმაზე, თუ რამდენად სერიოზულად გაუარესდა ვითარება ევროპაში სულ რამდენიმე თვეში – წერს გამოცემა. ზუსტად რა გეგმები აქვს რუსეთს უკრაინისა და დასავლეთის მიმართ, ეს მხოლოდ კრემლმა იცის, მაგრამ რუსეთისგან ნებისმიერი მტრული მოქმედება უკრაინის მიმართ კიდევ უფრო მეტად დაძაბავს ისედაც უკიდურსად დაჭიმულ რუსულ-დასავლურ ურთიერთობას.

**სამართლიანად ოფიციალურად დეკლარირებული გეოპოლიტიკური სწრაფვა, ევროატლანტიკურ სივრცეში ჩვენს საბოლოო დამკვიდრებაზე გადის. აქედან გამომდინარე, საქართველო ვერ იქნება გულგრილი იმის მიმართ, რაც დღეს ევროპაში ხდება. მოდი, პირდაპირ ვთქვათ, რომ არც თუ ძალიან დაღმინებულია დღეს ევროპის კონტინენტი და ამის უპირველესი მიზეზი მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ პირთა მომრავლებაა. ომი გაუბედურებულ, უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილ ადამიანს სად მოუხდება თავის შეფარება და ცხოვრება თუ არა ევროპის რომელიმე აყვავებულ ქვეყანაში, იქ, სადაც ადამიანის უფლებების დაცვა ნამდვილი პრიორიტეტია, სადაურიც არ უნდა იყოს ეს ადამიანი, მაგრამ ევროპაშიც ჰქონია თურმე მოთმინებას საზღვარი.**

გეტყვი, რაშია საქმე: ევროპას არ უყვარს რუსეთი და ცნობილი მოვლენების გამო ახლა უკვე პირდაპირ ერჩის ბელარუსს, რაც ბელარუსის მიმართ უმკაცრესი სანქციების დაწესებაში გამოიხატა. სანქციებით გამწვანებული ლუკაშენკო, ცხადია, სამაგიეროს გადახდის საბაზს ნატოზე და საბაზმაც არ დააყოვნა. ბელარუს-პოლონეთის საზღვარზე მძაფრი საემიგრაციო კრიზისი წარმოიშვა. ახლო აღმოსავლეთიდან, სამხრეთ აზიიდან და აფრიკიდან მომავალი მიგრანტები ბელარუსიდან პოლონეთში, ლატვია-

სა და ლიტვაში გადასვლას ცდილობენ. პოლონეთ-ბელარუსის საზღვარზე მდგომარეობა მკვეთრად დაიძაბა. ათასობით ლტოლვილი ცდილობდა პოლონეთის საზღვარი გაერღვია. შესაბამისად, პოლონეთმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. საქმეში შეიარაღებული ძალების ჩარევაც კი გახდა საჭირო.

ევროპა დარწმუნებულია, რომ ლუკაშენკოს რეჟიმი შემთხვევით სარგებლობს და განგებ ამწვავებს მდგომარეობას. საქმეს ისეთი პირი უჩანს, შესაძლოა, საიმეგრაციო კრიზისი სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდოს. მაგალითად, უკრაინა საკუთარი საზღვრის დასაცავად დამატებით სამხედრო ძალების განთავსებას გეგმავს. რუსეთმა დრო იხელთა და ევროკავშირს მიგრანტების მიმართ უგულუბასა და ცინიზმში დასდო ბრალი. რუსეთის მხარდაჭერით გათამამებული ლუკაშენკო კი, არ აკავებს მიგრანტების ნაკადს, რითაც პირდაპირ აშანტაჟებს ევროკავშირს, სადაც ბელარუსის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესებაზე დაიწყო ლაპარაკი, განსაკუთრებით, მათ მიმართ, ვინც ხელს უწყობს მიგრანტთა რაოდენობის ზრდას.

საუბარია, ტურისტულ სააგენტოებზე, რომლებიც არალეგალურ მიგრანტებს ყალბ დოკუმენტებს უმზადებენ, და იმ ავიაკომპანიებზე, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში დაფორინავენ. ვრცელდება ხმა, რომ რუსეთმა და ბელარუსმა ჰიბრიდული ომი გამოუცხადა ევროპას. მდგომარეობას ამძაფრებს ის ფაქტი, რომ ევროკავშირში მიგრანტების საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. დასავლეთ ევროპის ქვეყნები ჰუმანიტარული კრიზისის თავიდან ასაცილებლად მზად არიან განაგრძონ ლტოლვილების მიღება. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები კი, სასტიკად ეწინააღმდეგებიან პროცესს. ევროკავშირი ცდილობს საერთო მიგრაციული კანონის მიღებას, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ახერხებს. პოლონეთისა და უნგრეთის მთავრობათა აზრით, თუ ხელისუფლება უძღურია მიგრანტების ზენოლის წინა-

## შეიარაღებული თავდასხმა იერუსალიმში

იერუსალიმში შეიარაღებულ თავდასხმას ერთი ადამიანი ემსხვერპლა, სამი კი დაშავდა. ისრაელის მედიის ინფორმაციით, თავდასხმა ქალაქის ძველ უბანში, ტაძრის მთის მახლობლად მოხდა. სროლის შედეგად ორი სამოქალაქო პირი დაშავდა, რომელთაგან ერთ-ერთი სავადმყოფოში მიყვანის შემდეგ დაიღუპა, ასევე დაშავდა პოლიციის ორი თანამშრომელი.

ადგილობრივი მედია



იუწყება, რომ თავდამსხმელს სამართალდამცველებმა ცეცხლი გაუხსნეს, რომელიც ადგილზევე დაიღუპა. თავდასხმის შემდეგ პოლიციამ ტაძრის მთის ტერიტორია დახურა.

პოლიციის ინფორმაციით, თავდამსხმელი შეიარაღებული იყო „კარლოს“ სახელით ცნობილი იმპროვიზებული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევით, რომელიც პალესტინურ უბნებშია პოპულარული.



ტრიუმფი

ორბზის!



37 წლის ქართველმა კარატისტმა გომიტი პარმანიამ (+84 კგ) დუბაიში შესანიშნავად იასპარეზა, ყველა მეტოქეს სძლია და მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

ქართველმა სპორტსმენმა ზედიზედ დაამარცხა მექსიკელი მიგელ გარიბეი - 8:0, პრედრეგ სმოლოვიჩი (მონტენეგრო) - 2:0, მსოფლიოს 2018 წლის მე-

სამედადგილოსანი ესპანელი ბაბასარ სევი - 8:0, პანამერიკული თამაშების 2019 წლის ამერიკელი ჩემპიონი აირ ბრაიანი - 3:0, გუნდურში ევროპის 2021 წლის ხორვატი ჩემპიონი ანჯელო კვესიჩი - 3:1, ფინალში ევროპის ექს-ჩემპიონ სიმონე მარინოს (იტალია, 3:2) აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ოჩამჩირელმა დევილიმა მსგავს წარმატებას 2014 წელს გერმანულ ბრემენშიც მიაღწია - მაშინ ფინალში იაპონელ რუიტარო აგატას აჯობა, 2008 წელს კი მესამე ადგილი დაიკავა. ასევე ბრინჯაოს მედლები ხვდა ევროპის 2013 და 2018 წლების ჩემპიონატებზე, ხოლო 2021 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზა და მეხუთე ადგილს დასჯერდა. მსოფლიოს უკვე ორგზის ჩემპიონს ჰყავს მეუღლე - შოტლანდიელი კარატე-დოში მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული თათია მელუა და ორი შვილი - ალექსანდრე და ნიკოლოზი.

ოქაანის გაღვა

29 წლის ქართველი ჩოგბურთელი ეკატერინე გორგოძე 26 წლის რუმინელ ირინა მარია ბარასთან ერთად მონტენეგროში (ურუგვაი) გამართულ ჩოგბურთულ ქალთა 125.000-იან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. ქართველ-რუმინელმა დუეტმა წლეულს რამდენიმე ტურნირში გაიმარჯვა.

ეკამ და მარიამ არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას: ისინი ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტები იყვნენ და პირველ წრეში ისვენებდნენ, მეოთხედ-ფინალში ქსიაოდი იუს (ჩინეთი) და კაროლ ჩუაოს (კანადა) სძლიეს - 4:6, 6:4, 10:5, ნახევარ-ფინალში მარია ლურდეს კარლესა (არგენტინა) და ლაურა პიგოსის (ბრაზილია) მოუგეს - 6:2, 7:5, ფინალში კი კაროლინა ალვერესისა (ბრაზილია) და მარია ბასოლს რიბერას (ესპანეთი) წყვილი დაამარცხეს - 6:4, 6:3 და დიდ ტურნირებში ერთად მეოთხე მთავარი პრიზი (კარლსრუეს, რუმინეთისა და არგენტინის შეჯიბრებების

ურუგვაიში გაიმარჯვა

შემდეგ) მოიპოვეს. საგულისხმოა, რომ ამ ასპარეზობების შუალედებში გორგოძემ ვალენსის 80.000-იან ტურნირში ისაღწილი ბონავენტურესთან (ბელ-

გია) ერთად გაიმარჯვა, ხოლო ვალენსიაშივე, ბრაზილიელ ლაურა პიგოსისთან შეამხანაგებულმა, 80.000-იან შეჯიბრებაში მე-2 ადგილი დაიკავა.



კონტაქტები

ძართულ და სამხრეთაფრიკულ რაგბის კავშირებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში გაისადა ჩვენი ქვეყნის პირველი ფრენაიზი „შავი ლომი“ იქაური „ქარი კაპის“ უმაღლეს ლიგაში ითამაშებს.

აღსანიშნავია, რომ ეს ჯერ კიდევ არაა ყველაფერი - წარმატების შემთხვევაში დებიუტანტები სამხრეთაფრიკული საკლუბო რაგბის რანგით ყველაზე პრესტიჟული - პრემიერდივიზიონის ბოლოადგილოსანთან გამართავენ გადასასვლელ შეხვედრას და იქ გამარჯვებული ელიტაში დანინაურდება!

არანაკლებ საგულისხმო სანაკრებო ინფორმაცია გააფრცვლა იტალიურმა პრესამ, რომლის თანახმადაც მომავალი სეზონის იტალიის ტესტებზე „სკუადრა აძურა“ სტუმრად ითამაშებს როგორც რუმინეთთან, ისე „ბორჯღალოსნებთან“!

ამასობაში ლევან მაისაშვილის გუნდმა მადრიდში მეორე სპარინგი ფიჯისთან მოაწყო, რომელთანაც აქამდე 5-დან 4 ბრძოლა ჰქონდა წაგებული თუმცა ნაუსი 2018 წელს სწორედ მეტოქის მოედანზე გატეხა, სადაც ზედიზედ 4 მარცხის შემდეგ კუნძულებს პირველად სტუმრად სძლია.

შედეგით კმაყოფილი ამჯერადაც უნდა ვიყოთ, მაგრამ, მეორეს მხრივ, უკმარისობის გრძნობაც დაგვრჩა, რადგან ნეიტრალურ სარბიელზე მთელ რიგ ემიგრანტ თანამემამულეთა მხურვალე ქომაგობით ძალიან ახლოს ვიყავით წარმატებასთან.

საკლუბოს, სანაკრებოს...



რანტ თანამემამულეთა მხურვალე ქომაგობით ძალიან ახლოს ვიყავით წარმატებასთან.

საქართველო - ფიჯი 15:15

პირველი ტაიმი 9:5

მაშინ, როცა ჩვენ ფრანგებთან ვიბრძოდით, ფიჯიმ კარდიფში ასევე ღირსეულად იომა ფავორიტ უელსთან, რომელსაც 60 წუთი ერთით, ხოლო 20 წუთი ორით ნაკლები მოთამაშით უძალიანდებოდა და მხოლოდ ბოლო წუთებზე გატყდა. ეტყობა, კონდიციების აღსადგენად მას დრო არ ეყო, რის გამოც რამდენიმე ვარსკვლავი დაასვენა.

ეს ოდნავადაც არ აფერმკრთალებს „ბორჯღალოსანთა“ ტაქტიკურად გამართული რაგბით მოგვირის სიამოვნებას, რომლებმაც ტაიმნახევრის განმავლობაში ლევან მაისაშვილის დახმარებით სკუთარი კარნახით წარმართეს შეხვედრა.

დასანანი ისაა, რომ პირველი ლელო მონინალმდეგეს ბავშვური შეცდომით ვაჩუქეთ, ხოლო ბოლო მონაკვეთში მათ გაუმართლებლად დავუთმეთ ინიციატივა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს გუნდს ქულები საჯარომოვებით მხოლოდ აფრასიძემ მოუტანა, რომელმაც 6-დან 5 ცდა გამოიყენა, მატიის საუკეთესო მოთამაშე კი ლობჯანიძე გახლდათ.

ლეგიონერი

შერმალინის ბრწყინვალება!

მსაპანეთის ლიგა ენდესას მე-11 ტურში ბიორგი შერმალინის „ლენოვო ტენერიფემ“ „გრან კანარიას“ უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 98:89 დაამარცხა. მატჩის ბედ ბოლო პერიოდმა გადაწყვიტა, რომელიც მასპინძლებმა 10 ქულით (32:22) მოიგეს და საბოლოო გამარჯვებაც ამის ხარჯზე მოიპოვეს.



მოედანზე ცალსახად საუკეთესო ქართველმა ცენტრმა ფანტასტიკური თამაში ჩაატარა და ორმაგი დუბლი შეასრულა. გიორგიმ 22 წუთში 25 ქულა, 10 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა. შერმალინმა 7-დან 7 ორქულიანი და 13-დან 11 საჯარიმო ჩააგდო, რის შედეგადაც მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 41-ს გაუტოლდა.

ცხადია, ამ შედეგით იგი მატჩის MVP გახდა და დიდი შანსია, ტურის MVP-ის ტიტულიც მიიღოს. უდავოა, რომ შერმალინს მიმდინარე სეზონში გამორჩეული თამაში ჰქონდა. გიორგი მოედანზე არა მარტო მარგი ქმედების კოეფიციენტი, არამედ ჩაგდებული ქულებითაც (25) საუკეთესო გახლდათ.

„ლენოვო ტენერიფეს“ 10 თამაშში 7 მოგების საპირსონედ 3 მარცხი აქვს და მესამე ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 4 დეკემბერს სტუმრად „მანრესას“ დაუპირისპირდება.

მხარი

ტრადიციული გახლება

ჩემპიონთა აღმზრდელი ლევანდარული მწვრთნელის - ნუზზარ სხირაძის პირველი მემორიალი გორში მისი საყვარელი შეგირდის, ყველა ტიტულის მფლობელისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერის - მლაძიშვილის თაოსნობით გაიმართა.

ხალიჩაზე საქართველოს მთელი რიგი რეგიონების ახალგაზრდა ფალანგები გამოვიდნენ, მედალოსან თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს კი სოლიდური ფულადი პრიზები გადაეცათ.

ტრადიციონალურად, ყველაზე უკეთ მასპინძლებმა იასპარეზეს, რომლებსაც ღირსეულად აუბეს მხარი ქუთაისელმა თანატოლებმა - ვ-ვ „ოქრო“, ხოლო დანარჩენ წონით კატეგორიებში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აფხაზეთის, საგა-

რეჯოს, სამტრედიისა და ქარელის გუნდების წევრები ავიდნენ.

დავძენთ, რომ აღსანიშნავია რაჭის ნაკრების წარმომადგენელთა წარმატება, რომელთაც სამი პრიზიორი ჰყავთ - ვანო გაგუა („ვერცხლი“, 74 კგ), ბეჟან ბარსონიძე („ბრინჯაო“, 61 კგ, ორივე აბროლაური) და გიორგი ჩხირაძე („ვერცხლი“, 125 კგ, ონი).



ჩემპიონთა გალერეა

57 კგ - ლუკა დვინჯილია (აფხაზეთი). 61 კგ - დავით აბდულაძე (ქუთაისი). 65 კგ - ლუკა ჯანეზაშვილი (გორი). 70 კგ - დავით ფაცინაშვილი (გორი). 74 კგ - დავით კუჭუაშვილი (საგარეურობის დეპარტამენტი). 79 კგ - ოთარ ადვიშვილი (სამტრედი). 86 კგ - დავით კოლუაშვილი (ქუთაისი). 92 კგ - სანდრო მარგიშვილი (ქარელი). 97 კგ - საბა გამთენაძე (ქუთაისი). 125 კგ - მერაბ სულეიმანაშვილი (გორი).

ჩემპიონთა ლიგა

მესამედ დაგარჯდა

წმალბურთიელ ვაჟთა ჩემპიონთა ლიგის 2021-2022 წლების გათამაშების მესამე ტურის შეხვედრა თბილისის „დინამომ“ შინ, „ოლიმპიკს“ აუზში, გამართა - კატალონიის „ბარსელონეტას“ უმასპინძლა.


ლინაემ - ბარსელონეტა 7:20 (2:7, 2:4, 2:3, 1:6)

დინამო: რაზმაძე, ტყეშელაშვილი, დადვანი (1), იმნაიშვილი (1), ბითაძე (1), ელაჩა (1), ადვიშვილი (2), სარიჩი, ძიხციარენკა, მაგრაქველიძე, ვასიჩი (1), ანვლედიანი, გვეტაძე



ბარსელონეტა: ლოპესი, ფამერა (3), გრანადოს ორტეგა (7), პავილარდი (1), პონფერადა სიკარტი (1), ლარუმბე გონფაუსი, ასენსიო სურბასი, ფერნანდესი, დე ტორო დომინგესი (2), პერონე (3), ბიელ ლარა (2), ბასტოს სანჩესი (1), აგუიერე ტუბიო.

პირენეელთა გუნდი ჩემპიონთა ლიგის 2013-2014 წლების სეზონის გამარჯვებული და LEN-ის სუპერთასის მფლობელია. მან წინა ორ ტურში სპლიტის „იადრანს“ სძლია 11:6, იტალიის „ბრეშასთან“ კი 12:14 დაამარცხა, ხოლო დინამოელებმა ორივე მატჩი წააგეს (საბერძნეთის „ოლიმპიკოსსა“ - 9:20 და სპლიტის „იადრანთან“ - 13:15). თბილისურ დაპირისპირებაში ფავორიტად ესპანელთა გუნდი მიიჩნეოდა და სტუმრებმაც თავიანთი გულშემატკივრები არ დააღალატეს: „ბარსელონეტამ“, რომლის შემადგენლობაში მალაი კლასის წყალბურთელები თამაშობენ, მატჩის პირველი წუთებიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა და საბოლოოდ დიდი სხვაობით - 20:7 გაიმარჯვა. „დინამო“ მომდევნო ორთაბრძოლას შინ გამართავს - 30 ნოემბერს იტალიის „ბრეშას“ უმასპინძლებს.



### პროფესორი ალფრედ ბაბნიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიების და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორ მასწავლებლებმა, მეცნიერებმა უდიდესი დანაკლისი განიცადეს – 85 წლის ასაკში გარდაიცვალა პროფესორი ალფრედ ბაბნიძე.

მან მეცნიერის, პედაგოგის, პროფესორის სამაგალითო გზა განვლო. 1959 წ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტში, საიდანაც მივლინებული იქნა მოსკოვის მენდელეევის სახელობის ქიმიური ტექნოლოგიების ინსტიტუტში (МХТУ). მენდელეევის ინსტიტუტში უმოკლეს პერიოდში მოღვაწეობისას ალფრედ ბაბნიძემ 1970 წელს დაიცვა დისერტაცია, ძნელად შესაცხოზი ნახშირის კონცენტრატებით მეტალურგიული კოქსის წარმოებაზე.

1972 წლიდან ალფრედ ბაბნიძე ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობს – ლექციებს უკითხავს თუჯის მეტალურგიაში მეტალურგიულ ფაკულტეტზე ბრძედის სპეციალობის სტუდენტებს. 1976-1990 წწ. აკადემიკოსად მუშაობდა მეტალურგიის დეკანის მოადგილად. 1990-1994 წწ. პროფესორი ა.ბაბნიძე ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიული ფაკულტეტის დეკანიცაა. ა.ბაბნიძის თაოსნობით მეტალურგიული ფაკულტეტის სასწავლო კორპუსის მშენებლობისთვის მთავრობის დადგენილებით გამოიყო მიწის ფართობი, რამაც განაპირობა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დაფინანსებით 8 სათრულიანი მე-10 სასწავლო-სამეცნიერო კორპუსის მშენებლობა.

პროფესორ ა.ბაბნიძეს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ახალგაზრდა ინჟინერ-მეტალურგების აღზრდის მამულიშვილურ საქმეში. პროფესორ ა.ბაბნიძის მეცნიერულ მოღვაწეობას ამშვენებს მის მიერ გამოცემული მეცნიერული შრომები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და ლექსიკონები. მისი მთავარი რედაქტორობით გამოიცა ლითონების შედუღების განმარტებითი ლექსიკონი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული 2000 გვერდიანი, 100000 მეტალურგიული ტერმინით, ექვსენოვანი ლექსიკონების ორტომეულების სარედაქციო კოლეგიაში. აგრეთვე აქტიურად მონაწილეობდა სამთო მეტალურგიული ენციკლოპედიის ავტორთა კოლექტივში და სარედაქციო კოლეგიაში ენციკლოპედიის ორტომეულის გამოცემისას.

პროფესორი ალფრედ ბაბნიძე იყო რუსეთის საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და ამ აკადემიის საქართველოს განყოფილების ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე. სახელმწიფო ჯილდოებთან ერთად მას მიღებული აქვს ვერნადსკის ოქროს მედალი. მისი ყველაზე საპატიო ჯილდოა ის დიდი სიყვარული, რაც მან დაიმსახურა ტექნიკური უნივერსიტეტის პრეფესორ-მასწავლებლებს, მეცნიერებს, მის მიერ აღზრდილი ახალგაზრდა ინჟინერ მეტალურგებს, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილების მეცნიერებსა და მეტალურგიული ფაკულტეტის დეკანატის თანამშრომელთა შორის.

**რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა  
საქართველოს განყოფილება,  
ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური,  
ტექნოლოგიებისა და  
მეტალურგიული ფაკულტეტი**

- ბ. ძაბაძევილი, ბ. სალუქვაძე ბ. გომიჩაიშვილი, ი. ბუჯაბიძე ა. კვარაცხელია, დ. მამფორია, ო. მიძაძე, შ. ნაჭყალია, ზ. სვანიძე, ლ. ლოღელიანი, მ. ცინცაძე, ა. ძაბაძევილი, ბ. ძაბაძევილი, ო. შონია გყიფიაანი, ნ. წერეთელი, ი. აბდუშელიშვილი, თ. ბურუკური, შ. გორდუნიანი, ვ. თვალავაძე, ი. კახნიაშვილი, ნ. კუციავა, ჯ. ლომსაძე, ზ. ლომსაძე, ბ. მაისურაძე, ს. მებონია, მ. მშვილდაძე, დ. ნოზაძე, ზ. საბაძევილი, ზ. სიმონგულაშვილი, თ. ცერცვაძე, ძ. წერეთელი, თ. ნილოსანი.**

უახლოესი მეგობრები და კოლეგები **კლიმენტი ჯანაჯღაპა, ანზორ შიტანაძე, გურამ გუნაძე, ბაკურ გულუა, ვახტანგ ყოლბაია, იური გუბუჩია, ადიკო გვალია, ლარი შიტანაძე, მირაბ დავითაია, თამაზ სარალიძე, მურმან ჩაბაბია, აბაჰი სარალიძე, ალბერტ სიორიძე, თამარ ცაბური, ლადო ბაბუა, დემურ აბუნიანი, დამირ ძირია, ნიკოლოზ ენუქიძე, კარლო შანაძე, ნუზარ ციციანი, მურმან ნაჭყალია, კარლო ვეკუა, დიმიტრი ეხვარი, დავით მარღანი**



და ოთარ შიტანაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### ნოდარ შარტავა

ნოდარ შარტავა გახლდათ ქართული საინჟინრო სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ლირსების ორდენოსანი, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი, ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის მშენებელი, ენგურჰესის მშენებლობის უფროსი, ჰიდროსაინჟინრო სკოლის არაერთი თაობის აღმზრდელი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

წავიდა ჩვენგან ღირსეული ადამიანი, დიდი ოჯახის ერთგული ხელმძღვანელი, აღმზრდელი მამა და ბაბუა, სამეგობროში სიკეთითა და ერთგულებით გამოჩენილი პიროვნება. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მართლაც სანიმუშო და მისაბაძი მაგალითი იყო ყველასთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ მართლაც სპეტაკი, ღვაწლმოსილი ადამიანის სული.

### მარად მოსაბონარი ოთარ მეღვაძე

40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის აღარ არის ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ბატონი **ოთარ მეღვაძე**.

იგი დაიბადა 1938 წელს და იზრდებოდა ღირსეული მამულიშვილის, გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვალერიან მეღვაძის ოჯახში.

ოთარ მეღვაძემ საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დასრულების შემდეგ წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო თბილისის ავტომატიკის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ტნიისა) რიგით ინჟინრად, სადაც იგი აირჩიეს ჯერ ინსტიტუტის კომპიუტერის კომიტეტის, ხოლო შემდეგ პარტიული კომიტეტის მდივნად.

მისი ორგანიზატორული ნიჭი, წესიერება და პატიოსნება შეუმჩნეველი არ დარჩენია და იგი გადაიყვანეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგედ, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივნად, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად, საიდანაც იგი დააინაწურეს საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო ბოლო პერიოდში იგი მუშაობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. არაერთგზის იყო არჩეული საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

პარალელურად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. წარმატებით დაიცვა იურიდიულ მეცნიერებათა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო შემდგომ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, მიენიჭა პროფესორის წოდება და წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ეწეოდა სტუდენტთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

იგი იყო იურიდიულ საკითხებში უაღრესად განსწავლული მეცნიერი, განსაკუთრებით საკონსტიტუციო სამართალში. 1996 წლიდან მის მიერ დაფუძნებული პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი გამოსცემდა პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერიას. სულ გამოცემულია 35 ნიგანი, რომლებიც წლების განმავლობაში დარჩება სტუდენტთა და სპეცი-

ალისტა სახელმძღვანელოდ. ოთარ მეღვაძე გარეგნობით იყო სასიამოვნოდ მშვენიერი პიროვნება და როგორც მაღალი სამსახურებრივი იერარქიის დროს, ასევე როგორც პროფესორი და პედაგოგი, როგორც მეგობარი, ყოველთვის იყო უაღრესად თავმდაბალი, მოკრძალებული, თავაზიანი, გულისხმიერი და პირადულ ინტერესებს არასდროს აყენებდა სხვის სურვილებზე მაღლა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ოთარ მეღვაძემ არჩეული იყო ორი მონვევის საქართველოს პარლამენტის წევრად და ენერგიულად მოღვაწეობდა როგორც პარლამენტში, ასევე ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში, როგორც ამ პარტიის აქტიური წევრი.

ბატონი ოთარი ყველგან, სადაც მას უმოკლესი ნეგატიური მოვლენების, უწესობის და უწესრიგობის წინააღმდეგ, ნამდვილი ნიშნად და ეტალონი, წესიერების, პატიოსნების, შრომისმოყვარეობის იშვიათი გამოვლინებისა.

ოთარ მეღვაძეს ყავდა სათნოებით, სიკეთით, ნიჭიერებით, გონიერებით, ერთგულებით და სიყვარულით აღსავსე მეუღლე, ქალბატონი ლამარა ძაგნიძე და არაჩვეულებრივი შვილები: გია, ქეთი, სამი შვილიშვილი და ექვსი შვილთაშვილი.

ბატონი ოთარის და მისი ოჯახისთვის ძალიან მძიმე აღმოჩნდა ცხოვრების მიმწუხრის ყამი უსაყვარლესი ვაჟიშვილის ამქვეყნიდან მოულოდნელად და ნაადრევად წასვლის გამო.

ბატონი ოთარი, როგორც გამოჩენილი პიროვნება და დიდი ქართველი მამულიშვილი, ყოველმხრივ ვალმოსილი წავიდა ამ ქვეყნიდან.


ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

მეგობრები და კოლეგები:

- ნოდარ შიტანაძე, ნიკო ლეკიშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე, ვალერი ასათიანი, გივი აბდუშელიშვილი, ჯივალ კუსხალაშვილი, გიგო კუსხალაშვილი, ოთარ შიტანაძე, გივი აბუნიანი, გურამ გუნაძე, ბაკურ გულუა, ვაჟა ბერიძე, ჯივალ კვიციანი, მირაბ ზამბახიძე, გივი ბათელიანი**

„საქართველოს რესპუბლიკაში“  
ვაჟა ფშაველას ქ. №48  
599 79-76-79; 568 82-09-84

# გალაკტიონის საიუბილეო საღაპო დიდი მხატვრის სახელობის სკვერში



დედაქალაქის მერი კახა კალაძე, მოადგილე ანდრია ბასილაიასთან ერთად, გალაკტიონ ტაბიძის 130 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ საღაპოს დაესწრო.

საიუბილეო საღაპო გუდიაშვილის სკვერში გაიმართა, რომელზეც სტუმრებს გააცნეს გალაკტიონის შემოქმედება, როგორც ხელოვნების სხვადასხვა დარგისთვის შთაგონების წყარო.

„უბრველეს ყოვლისა, მინდა, ძალიან დიდი მადლობა მოგახსენოთ მობრძანებისთვის. მიუხედავად სიცივისა, ბევრი ადამიანი შეიკრიბა. მე, როგორც ქალაქის მერს და ამ ქალაქში მცხოვრებ ადამიანს, ძალიან მისარია, რომ მოვახერხებთ UNESCO-ს პროექტით და ვატარებთ „ნიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსს“.

„ნიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ სტატუსი მიგველოცა და კახა კალაძემ. საიუბილეო საღაპოს ნამყვანები იყვნენ ვახტანგ ჯავახიძე, ნინო კასრაძე, ლაშა ბაქრაძე და ნესტან ნენე კვინიკაძე. მათ ისაუბრეს გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიის მნიშვნელოვან და უცნობ დეტალებზე, მოგონებებზე და წაიკითხეს ნაწყვეტები მისი შემოქმედებიდან. ხოლო საღაპოს რეჟისორები იყვნენ დავით საყვარელიძე, მუსიკოსები – დავით ვეგენიძე, ერეკლე დეისაძე, ანუშკა ჩხეიძე, სანდრო ბიბიჩა კვაჭაძე და ცოტნე ზედგინიძე.

სცენა გაფორმებული იყო გალაკტიონის საარქივო ფოტომასალის ინსპირაციით, მხატვარ გიორგი ჯინჭარაძის მიერ შექმნილი ილუსტრაციებით.



## „1920-1930 წლების ქართული კინო“

ებს, ფილმოგრაფიას, უნიკალურ ფოტოებსა და საარქივო მასალას აერთიანებს. გამოცემა კინოლოგების – ნინო მხეიძისა და არჩილ შუბაშვილის – რედაქტორობით მომზადდა.

„1920-1930 წლების ქართული კინო“ – საქართველოს ეროვნული კინოცენტრისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის თანამშრომლობით 20 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე ლონისძიებათა ციკლი იმართება. ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონმა დადგინდა ნიგნის „ქართული კინო 1920-1930“ წარდგინებას უმასპინძლა.


ეროვნული არქივის კინოდარბაზში (1928) 1920-30-იანი წლების ქართული კინოს რეტროსპექტივა გაიხსნა ნიკოლოზ შენგელაიას ფილმით „ელისო“.

ნიგნი-ალბომი „ქართული კინო 1920-1930“ გასული საუკუნის 20-იან წლებში მოღვაწე ქართველი კინემატოგრაფისტების შესახებ საინტერესო სტატი-

20 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე დაგეგმილ რეტროსპექტივაზე მაყურებელს შესაძლებლობა ექნება დიდ ეკრანზე იხილოს 1920-იან წლებში შექმნილი და ციფრულად აღდგენილი ქართული ფილმები: „არსენა ჯორჯიაშვილი“, „კრანა“, „ამოკი“, „ნორჩი მფრინავი“, „ჯანყი გურიში“, „სურამის ციხე“, „მამის მკვლელი“ და სხვ. ფილმებს მაყურებლებს წარუდგენენ კინოლოგები: ირაკლი მასარაძე, ლელა ოჩიაური, ნინო მხეიძე და თეო ხატიაშვილი.

პროექტი „ქართული კინო 1920-1930“ ასევე მოიცავს საჯარო ლექციების ციკლს, რომელთაც ირაკლი ხვადაგიაძე, ლაშა ბაქრაძე, ლევან კალანდარიანი, შოთა იათაშვილი და ნანა ყიფიანი ეროვნულ არქივში 24 ნოემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით ჩაატარებენ.


# ილია აგლაძის არქივი კულტურის სამინისტრომ შეისყიდა



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ძალისხმევით, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმისთვის ცნობილი პუბლიცისტის, ჟურნალისტისა და მთარგმნელის, მწერალთა კავშირის საბჭოს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და დრამატული საზოგადოების წევრის ილია აგლაძის არქივის შესყიდვა მოხერხდა.

სამინისტროს ინფორმაციით, მრავალფეროვანი საარქივო მასალები 370 ხელნაწერსა და ნაბეჭდ დოკუმენტს მოიცავს და შეიცავს დავით კლდიაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, პაოლო იაშვილის, კოტე მაყაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ქუჩიშვილის, სანდრო შანშიაშვილის, აკაკი პაპავას, ვალერიან გუ-

ნიასა და სხვათა უცნობ ავტოგრაფებს. „მოცემული საარქივო მასალები ექსკლუზიურია, რადგან არ არსებობს მათი სხვა ეგზემპლარები და უმეტესობა უცნობია. ამასთან, შესყიდული არქივი აერთიანებს საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის, კერძოდ, მწერალთა კავშირის დაარსების დღიდან, 1917 წლიდან 1921 წლამდე უაღრესად საინტერესო დოკუმენტებს, მათ შორის



მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა წერილებსა და განცხადებებს, მწერალთა კავშირის სხდომის ოქმებს, მწერალთა პირველი კონფერენციის დოკუმენტებს, მიმართვებსა და პირველ წესდებს, მწერალთა ხელწერილებს, მწერალთა კავშირის ბუღალტრულ საბუთებს, კვიტანციებს, მწერალთა ფაქსიმის წერილებს, ღია ბარათებს და ჟურნალებს.

არქივში ასევე ინახება ილია აგლაძის მეუღლის, მწერლის, მთარგმნელის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრის, ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაციის დამაარსებლის, ოღლა ბეჟანიშვილი-აგლაძის წერილები, ჩანაწერები და ქალთა საკითხებთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერი წყაროები დღემდე უცნობი იყო როგორც მკვლევარებისთვის, ისე ფართო საზოგადოებისთვის და წარმოადგენს სანდო დოკუმენტებს მწერალთა კავშირის ამ უაღრესად საინტერესო პერიოდის შესასწავლად. – აღნიშნული კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



უსტოური პალატის კარგი: აუუ ფონური - 3.1120; პირი - 3.5169; ბრითანული პირი სტარლინი - 4.1769; 100 რუბლი - 4.2404; თურქული ლირა - 0.2794; აზერბაიჯანული მანათი - 1.8322; 1000 სომხური დრამი - 6.5318.

აპრილი 22 ნოემბრისთვის	
აღმოსავლეთი საქართველო:	
ბარსი - ლაშ	-2, ლაშ +16
თიანეთი რაიონი - ლაშ	-5, ლაშ +16
დასავლეთი საქართველო:	
ბარსი - ლაშ	+4, ლაშ +21
თიანეთი რაიონი - ლაშ	-2, ლაშ +19
თბილისი:	ლაშ +3, ლაშ +15

დაგვიკავშირდით, მოგვწერეთ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 კლ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ-გვერდი: www.sakresp.ge

საქართველოს რესპუბლიკა  
**SAKARTVELOS REPUBLIKA**  
 ვაშა ფშაველას №48  
 ტელ: 239-03-43

---

მთავარი რედაქტორი  
 სპარტაკ ძოგულია  
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
 გურამ გომიაშვილი  
 599 53-76-16;  
 ალექს  
 ასლანიშვილი  
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
 მამუკა ვაშაქიძე  
 514 33-33-24

---

გამომცემელი:  
 შპს „ახალი საუკუნე – გაზეთი“ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
 599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანამდგომარეობა“-ს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
 ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორი“  
 ე. ბალდავასის №3

**კოლორი ჰაუზი**  
 uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

ავტორთა სახურა დღევანდელ!  
 რედაქციის მიერ შეუქმნათავე მასალაზე დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შეხატულობა, გუდაამ არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიუხვითავე პასუხს ავბეძენ ავტორები.

**გაზეთის მომავალი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 25 ნოემბერს**